არც ერთი ჩამორჩენილი კოლექტივი, ყოველი თვის გეგმა შევასრულოთ გადაჭარბებით!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის ვ ი ვ ნ ი ს ი დ ა ნ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1977 ხუთშაბათი 17 თებერვალი № 40 (16777) ფასი 2 კაპ. 1977

ს უ ლ უ ფ რ ო დ ი დ ი გ ა ქ ა ნ ე ბ ა ე ქ ლ ე ვ ა ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ შ ე ჯ ი ბ რ ე ბ ა ს, რ ო მ ლ ი ს მ ს ვ ლ ე ლ ო ბ ა შ ი ი ბ ა დ ე ბ ა ა ხ ა ლ ი ს ა ხ ე ლ ო ვ ა ნ ი შ რ ო მ ი თ ი თ ა ო ს ნ ო ბ ა ნ ი... შ ე ჯ ი ბ რ ე ბ ი ს მ ო ნ ა წ ი ლ ე თ ა ღ ო ნ ი ს ძ ი ე ბ ე ბ ი ს მ ი ზ ა ნ ი ა მ ე ც ნ ი ე რ უ ლ - ტ ე ქ ნ ი კ უ რ ი პ რ ო გ რ ე ს ი ს დ ა ჩ ქ ა რ ე ბ ა, შ რ ო მ ი ს ნ ა ყ ო ფ ი ე რ ე ბ ი ს გ ა დ ი დ ე ბ ა, მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ი დ ა ფ ი ნ ა ნ ს უ რ ი რ ე ს უ რ ს ე ბ ი ს, ნ ე დ ლ ე უ ლ ი ს, ს ა თ ბ ო ბ ი ს ა დ ა ე ნ ე რ გ ი ი ს მ ო მ ჭ ი რ ნ ე ო ბ ი ს რ ე ჟ ი მ ი ს გ ა ძ ლ ი ე რ ე ბ ა, ნ ა კ ი ს რ ი ვ ა ლ დ ებ უ ლ ე ბ ე ბ ი ს ა დ ა შ ე მ ხ ვ ე დ რ ი გ ე გ მ ე ბ ი ს წ ა რ მ ა ტ ე ბ ი თ შ ე ს რ უ ლ ე ბ ა დ ა დ ი დ ი ო ქ ტ ო მ ბ რ ი ს მ ე - 6 0 წ ლ ი ს თ ა ვ ი ს ღ ი რ ს ე უ ლ ი შ ე ხ ვ ე დ რ ა.

დ ი დ ი ო ქ ტ ო მ ბ რ ი ს ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს მ ე - 6 0 წ ლ ი ს თ ა ვ ი ს შ ე ხ ს ა ხ ებ ე ბ ი ს ს კ კ ა ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი ს დ ა დ გ ე ნ ი ლ ებ ი დ ა ნ.

დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის შესახვედრად

შრომითი ინიციატივის ესტაფეტა

ახალ პატრიოტულ თაოსნობას—ფართო გზა!

შრომითი კოლექტივების მოძრაობა მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის სულ უფრო ვითარდება, მშრომელთა სულ უფრო ფართო მასებს მოიცავს. სოციალისტური შეჯიბრება თვისებრივად ახალ საფეხურზე ადის, ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი აღმავლობის, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების, კომუნისტური პარტიის მიერ დასახული გეგმების რეალიზაციისათვის ქალაქისა და სოფლის მშრომელთა დარაზმვის სულ უფრო მძლავრი საშუალება ხდება.

ამ ევოლუციის ერთ-ერთი მკაფიო გამოვლინება იყო „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების პასუხად ამ დღეებში ზოგილი საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო და პირველი მაისის რაიონული კომიტეტების ინიციატივა — 1977 წლის თებერვლიდან ისე იმუშაონ, რომ არ იყოს არცერთი ჩამორჩენილი სამრეწველო საწარმო, მიაღწიონ, რომ თვითეული შრომითი კოლექტივი ყოველთვიურად გადაჭარბებით ასრულებდეს საწარმოო გეგმებს. ეს ინიციატივა, რომელსაც დიდი ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობა აქვს, მოიწონა ხალხისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკურმა კომისიამ, რომელმაც მისი განხილვის დროს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო პარტიული კომიტეტების მიერ ადგილებზე საქმის მდგომარეობის ოპერატიული კონტროლისა და მასზე ზემოქმედების ფორმებსა და მეთოდებს.

მეტად საგულისხმოა, რომ ქუთაისელთა და პირველი მაისის რაიონის მშრომელთა ინიციატივა არის რუსთაველ მეტალურგთა თაოსნობის ლოგიკური განვითარება, რომელმაც გადაწყვიტეს გაეჩაღონ ლაშქრობა სოციალისტური დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის ამ ცნების ყველაზე ფართო გაგებით. დევიზად — „არც ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო — ჩვენს გვერდით!“ — კიდევ უფრო ღრმა შინაარსი შეიძინა, რამდენადაც საქმე ეხება თითქმის ყველა ქალაქსა და რაიონს, თვითეული სამრეწველო საწარმოს შრომითი კოლექტივების მიერ გეგმების უფროდ შესრულების შესახებ ვალდებულებათა დაკონკრეტებას რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიული ცენტრისა და საქართველოს დედაქალაქის ერთ-ერთი წამყვანი რაიონის მასშტაბით.

ეს ინიციატივა მოულოდნელად როდი იშვა. გროვდებოდა თვისებრივი პოტენციალი, ახალ ეტაპზე მრეწველობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გამოცდილება, იქმნებოდა ობიექტური წანამძღვრები იმისათვის, რომ აქტივთან არსებული შესაძლებლობების ყოველმხრივი განხილვის შემდეგ განსაზღვრათ და ორგანიზაციულად გაეფორმებინათ მოძრაობა ჩამორჩენილების გარეშე მუშაობისათვის.

ამავე დროს ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ხდება მხოლოდ ფაქტის აღნუსხვა, და ფაქტიური მიღწევა ინიციატივის ხახეს იღებს. ქუთაისელებსა და პირველმაისელებს დიდი მუშაობა ელით, მათ განსაზღვრეს მეტად ხერხიოზული, მაგრამ ამასთანავე რეალური მიჯნა. ამაშიც ჩანს დროის მოთხოვნა, როცა სიტყვისა და საქმის ერთიანობა დღენადაგ მტკიცდება, როცა ლოზუნგი გულისხმობს ფხიზელ და გულდასმით ანგარიშს, როცა ერთი შეხედვით მეტად გაბედული გეგმა ემყარება ყოველმხრივი უზრუნველყოფის კომპლექსს — მატერიალურ-ტექნიკურ, ორგანიზაციულ, იდეოლოგიურ უზრუნველყოფას.

მომდინარე წლის 11 თებერვალს ქუთაისის სამეფონრეო ხელმძღვანელების, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკების, სამრეწველო საწარმოთა მოწინავეების შეკრებაზე ახალი პატრიოტული თაოსნობა — „ხაიუბილეო წელს — ყოველთვიური გეგმა მხოლოდ გადაჭარბებით“ თავიანთი კოლექტივების სახელით ინიციატივა გამოიჩინეს ორჯონიკიძის სახელობის ხავტომობილო ქარხნის, აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებისა და მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის წარმომადგენლებმა.

შეკრების მონაწილეებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი მოწინავე საწარმოების ინიციატივას და ქალაქის მრეწველობის ყველა მშრომელს მოუწოდეს მიბაძონ მათს მაგალითს. პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ მოიწონა ეს საყურადღებო ინიციატივა და დაამტკიცა ქალაქის ინდუსტრიის კოლექტივების ახალი სოციალისტური ვალდებულებანი საიუბილეო წელს ქალაქის თვითეული სამრეწველო საწარმოს მიერ ყოველთვიური სახელმწიფო გეგმების გადაჭარბებით შესრულების შესახებ.

როცა ასეთ გადწყვეტილებას იღებდა, ხაქალაქო კომიტეტს ბიურო ეყრდნობოდა უკანასკნელი წლების მანძილზე ქალაქის მრეწველობის მიერ მოპოვებულ მნიშვნელოვან წარმატებებს.

მეცხრე ხუთწლედის დავალებანი, 1971-1972 წლებში შექმნილი ჩამორჩენის მიუხედავად, შესრულდა 1975 წლის 7 ნოემბრისათვის, წარმოებული იყო 75 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. შემდგომ ოთხი წლის მანძილზე იყო წლიური გეგმების შეუსრულებლობის მხოლოდ ერთეული შემთხვევები, მკვეთრად შემცირდა ოვეების მიხედვით ჩამორჩენილ საწარმოთა რიცხვი. მაგალითად, 1971-1972 წლებში მთლიანი პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულების წლიური შედეგებით ჩამორჩებოდა 15 საწარმო, 1973-1976 წლებში ასეთი საწარმო მხოლოდ ორიღა იყო. მკვეთრად შემცირდა აგრეთვე ჩამორჩენა თვეების მიხედვით. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ქალაქის 18 საწარმოში დამკვიდრდა ყოველი თვის მანძილზე სახელმწიფო გეგმების უთუო შესრულების სახელოვანი ტრადიცია.

სკკპ XXV ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა ქალაქის მშრომელთა ახალი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობა გამოწვია. ყველგან გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, შრომის სოციალისტური დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის. ამის შედეგად მეათე ხუთწლედის პირველი წლის გეგმა 20,3 მილიონი მანეთის გადაჭარბებით შესრულდა, მხოლოდ ერთმა საწარმომ ვერ შეასრულა პროდუქციის რეალიზაციის წლიური გეგმა. 1976 წლის მანძილზე ქალაქის ექვსმა საწარმომ 12-ჯერ გაიმარჯვა საკავშირო, ხოლო შვიდმა საწარმომ 17-ჯერ რესპუბლიკური სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ცუდად არ დაწყებულა 1977 წელი — დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის წელი. მთლიანი პროდუქციის გამოშვებისა და მისი რეალიზაციის იანვრის გეგმები გადაჭარბებით შესრულდა. მიღწეულია 108,5 პროცენტით ზრდის ტემპი. წარმოებულია 1,3 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

ქალაქის მრეწველობის მუშაკთა ეს მიღწევები უწინარეს ყოვლისა სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის გაზრდილი დონის შედეგია. პარტიის საქალაქო კომიტეტმა მოაგვარა ყოველდღიური კონტროლი გეგმების შესრულებისადმი, მართავს დეკადურ თათბირებს ჩამორჩენილი საწარმოების ხელმძღვანელებთან. მრეწველობის მუშაობის შედეგებს ყოველთვიურად განიხილავს სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის კომისია. კვარტალურ შედეგებს ბიუროს სხდომებზე განიხილავენ, სადაც ამტკიცებენ სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულ კოლექტივებს.

ქალაქში გაცილებით მეტი ყურადღება ეთმობა შეჯიბრების ფუძემდებლურ პრინციპებს — საჯაროობისა და შესაბამობის უზრუნველყოფას, საყურადღებო თაოსნობათა გამოვლენასა და გავრცელებას, მოწინავე გამოცდილების დანერგვას.

ბევრი საარგებლობა მოიტანა ხარისხის მართვის საქალაქო სისტემის დანერგვამ, რომლის ერთ-ერთი ელემენტია ყოველ სამრეწველო საწარმოში მუშაობის ხარისხის შედეგების ყოველკვარტალური შეჯამება.

და, რა თქმა უნდა, წარმატებანი შესაძლებელი გახდა ჩვენს რესპუბლიკაში უკანასკნელი წლების მანძილზე ყველგან და ყველაფერში სახელმწიფო და პარტიული დისციპლინის განსამტკიცებლად შეურიგებელი ბრძოლისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნის შედეგად.

ეს თანაბრად ეხება პირველი მაისის რაიონსაც, სადაც შარშანდელ, ხუთწლედის პირველ წელს წარმოებული იყო 10,6 მილიონი მანეთის, ხოლო რეალიზებული 7,4 მილიონი მანეთის პროდუქცია, რაც მნიშვნელოვნად აღემატება სოციალისტურ ვალდებულებებს. წარმოების ზრდის ტემპმა გაუსწრო დაგეგმილს 2,5 პროცენტით. და, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, მთელი მატება მიღებულია შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე, წლიური გეგმა ვერ შეასრულა მხოლოდ ერთმა საწარმომ.

რაიონის საწარმოებში საქმის მდგომარეობის ანალიზმა ცხადყო, რომ ხაგეგმო დავალებებს საფუძვლად უდევს შესაბამისი ხიმძლავრენი, განმტკიცებულია მატერიალური და შრომითი რესურსებით, რაც ობიექტურ პირობებს უქმნის ყოველთვიური გეგმების უთუოდ შესრულებისათვის სტაბილური მუშაობის უზრუნველყოფას.

პარტიის პირველი მაისის რაიკომმა აგრეთვე შეიძინა მრეწველობის საქმიანობის ხელმძღვანელობის მნიშვნელოვანი გამოცდილება. აქ დეტალურად ანალიზებენ გეგმების შესრულების მიმდინარეობის მონაცემებს, რომლებიც ყოველდღიურად მოხდინ, ოპერატიულად წყვეტენ წამოჭრილ საკითხებს. ყოველთვიურ შედეგებს განიხილავენ რაიონულ შრომის ხარისხის დღეს, მოწინავე და ჩამორჩენილი კოლექტივების განსაზღვრის დროს იყენებენ მაღალეფექტიანი შრომის შეფასებისა და სტიმულირების ზუსტი კრიტერიუმების სისტემას. ყოველ კვირას ინდუსტრიის საწარმოთა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები რაიკომში ერთმანეთს უზიარებენ ინფორმაციასა და გამოცდილებას. მუშაობის ესა და სხვა ფორმები პირველმაისელებს ეხმარება უფრო აქტიური ზემოქმედება მოახდინონ ხაქმის მდგომარეობაზე მრეწველობაში.

დაისახეს რა ახალი მიზანი, ქუთაისელებმა და პირველმაისელებმა აამოქმედეს ორგანიზაციულ-პარტიული და პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობის ხაუშალებათა მთელი შეძენილი არსენალი, სწავლობენ და იყენებენ ქვეყნის მოწინავე პარტიულ ორგანიზაციათა გამოცდილებას. მათ კარგად ეხმით, რომ ჩამორჩენილების გარეშე მუშაობა თვითმიზანი კი არა, ჯერ-ჯერ ეკონომიკის შემდგომი აღმავლობის მიღწევის საშუალებაა, ხოლო ჩამორჩენის შემდეგ დაწინაურებული კოლექტივების თვითეულ წევრს ჰპირდება დამატებით მატერიალურ სიკეთეს: ხაწარმოებში ზრდება სოციალური ფონდები, ხელფასი, პრემიები.

კიდევ ერთი მეტად საგულისხმო ფაქტი: ქუთაისში სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების თაოსნობას მხარი დაუჭირეს ხაქალაქო მეურნეობის, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკებმაც.

ამრიგად, დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი ახალი ინიციატივა ფართო მხარდაჭერას იძენს. ამას მოწმობენ რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქიდან და რაიონიდან მოსული ცნობები. მეტად საჭიროა, რომ თვითეულმა კოლექტივმა, რომელიც მოწინავეთა მაგალითს მიბაძავს, ხაიუბილეო წელი ახალი წარმატებებით დაიწყოს, შეძლოს გამოიყენოს სოციალისტური შეჯიბრების ყველა ფორმა დასახული მიზნის მიღწევისათვის. ნედლეულისა და მასალების მომპირნეობისათვის მოძრაობა, ხაბოლოო ანგარიშით, დამატებითი პროდუქციაა. პირველი წარდგენისთანავე ნაწარმის ჩაბარებისათვის ლაშქრობა — ეს არის გადაკეთების დროს შრომითს ოპერაციებზე დახარჯული დროის დაზოგვა, ვალდებულებათა შესრულებისათვის დროის რეზერვების შექმნა. მომეჯანავეებთან შეჯიბრების ხელშეკრულებანი — ეს არის მწყობრი რიტმი. ერთი სიტყვით, სოციალისტური შეჯიბრება ყველა მისი გამოვლინებით შეიძლება და კიდევაც უნდა ხმარდებოდეს პატრიოტული ინიციატივის რეალიზაციას. (ხაინფორმი).

ხუთწლედის ადამიანები

ვ. ლენინაშვილია ლ. ი. დავითაშვილის ფოტო (ხაინფორმის ფოტოქრონიკა).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ“ დიდი შრომითი აღმავლობა გამოიწვია „თბილსახგვირაბმშენის“ ხაშმართველოს კოლექტივში. ბრიგადებს, უბნებს, ცალკეულ მუშებს შორის ჯაიშალა სოციალისტური შეჯიბრება ჩვენი ხახელმწიფოს ცხოვრების დიდი მოვლენის ღირსეული შეხვედრისათვის. თვითეული მათგანი ცდილობს ხაუკეთესო შრომითი მაჩვენებლებით აღნიშნოს ხახელოვანი მე-60 წლისთავი.

რამდენიმე ხანში თბილისის მეტროპოლიტენის ლაანდაგების ხიგრძე მნიშვნელოვნად გაიზრდება. ახლა სწრაფი ტემპით შენდება ხაბურთალოს შტო.

ხაბურთალოს მიწისქვეშა მაგისტრალის გაუვანაზე კარგ მაჩვენებლებს აღწევენ მოწინავე გვირაბგამყვანები (მარჯვნიდან) თემურ კინწურაშვილი, ალექსანდრე ლულუნიშვილი, ვიხეილ შუკპანი.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ხაქალაქო კომიტეტში

დიად იუბილეს—მთელი ჩვენი იდეოლოგიური ძალები

საქართველოს დედაქალაქის — თბილისის მშრომელები, ისევე როგორც ყველა ხაბჭოთა ადამიანი, მხურვალედ ეხმაურებიან და მთლიანად იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამხსენებადელ დადგენილებას „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ“. ამ უდიდესი პოლიტიკური და ხახელმწიფო მნიშვნელობის დოკუმენტში ხაფუძვლიანად და ყოველმხრივ არის დახასიათებული, თუ რა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს დიდ ოქტომბერს, რუსეთის გმირი პროლეტარიატის გამარჯვებას, რომელიც ბოლშევიკური პარტიისა და მისი მეთაურის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ხელმძღვანელობით მოიპოვა, შეჯამებულია ამ ხახელოვანი გზის შედეგები, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ განვლო ექვსი ათეული წლის მანძილზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამ დადგენილების შესაბამისად ქალაქის პარტიული ორგანიზაციების იდეურ-ამზრდელობითი მუშაობის ამოცანებს მიეძღვნა თათბირ-სემინარი, რომელიც ამ დღეებში გაიმართა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტში.

თათბირ-სემინარი გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა ნ. ვ. გურგენიძემ. თათბირის მონაწილეებისათვის წაიკითხეს მოხსენებები: „კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დიდი ოქტომბრის გამარჯვება XX საუკუნის მთავარი მოვლენაა“ (ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი გ. ქვანია), „ოქტომბრის სამშობლოს მიღწევები ექვსი ათეული წლის მანძილზე“ (ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ი. ბაქრაძე), „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და მსოფლიოში ძალთა თანაფარდობის ძირეული ცვლილებები“ (ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ა. ციციაშვილი).

თათბირ-სემინარზე გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის საქარხნო რაიკომის მდივანი კ. კაკაბაძე, საზოგადოება „ცოდნის“ საქალაქო ორგანიზაციის პასუხისმგებელი მდივანი ა. სვანი, თბილისის გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ პარტიული კომიტეტის მდივანი დ. ღაღანიძე, საქართველოს ალკკ თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ი. ხუციშვილი, თბილისის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილე ვ. გლუშკოვა, კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის პარტიული ორგანიზაციის მდივანი ბ. ტატიშვილი, პოლიტიკური განათლების რესპუბლიკური სახლის გამგის მოადგილე რ. დოღონაძე.

თათბირ-სემინარზე აღინიშნა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების კონკრეტულ მითითებათა შესაბამისად პარტიულმა ორგანიზაციებმა ფართოდ უნდა გაშალონ მზადება ღირსშესანიშნავი თარიღისათვის. დიდი ოქტომბრის სახელოვანი ეფექტის შეხვედრისათვის მთელი მუშაობა ისე უნდა წარიმართოს, რომ დაკრაზმთ მშრომელები პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ახალდელი ხუთწლედის დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის.

პროპაგანდისტები, ლექტორები, იდეოლოგიური ფრონტის ყველა მუშაკი მთელ თავიანთ ორგანიზაციულ-პოლიტიკურ მუშაობაში ღრმად და ყოველმხრივ უნდა აშუქებდნენ ოქტომბრის რევოლუციის მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობას, განმარტავდნენ ვ. ი. ლენინის შრომებში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის დოკუმენტებსა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებში ჩამოყალიბებულ დებულებებსა და დასკვნებს.

თათბირ-სემინარზე ხაზგასმით აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ მშრომელებმა განსაკუთრებით გულდასმით შეისწავლონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ“. პოლიტიკური განათლების ქსელში მეცადინეობის დროს უნდა განვმარტოთ ამ დოკუმენტის მთავარი დებულებანი, ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობდნენ ოდესღაც ჩამორჩენილი ქვეყნის გადაქცევას მძლავრ ხახელმწიფოდ.

დადგენილების შესწავლისას სრულად უნდა გამოვიყენოთ პირველწყაროები, რათა თვითეული ლექცია, თვითეული მოხსენება თუ საუბარი ღრმაშინაარსიანი და კარგად დასაბუთებული იყოს.

სხვა საკითხებთან ერთად ყურადღება უნდა მივაქციოთ ეროვნულ საკითხს, გავაშუქოთ ხალხთა მეგობრობის მთელი მიმზიდველი ძალა, ჩვენი ხახელმწიფოს პატრიოტული და ინტერნაციონალური არსი.

თათბირ-სემინარის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა ნ. ვ. გურგენიძემ. (საქინფორმი).

„სალუტ-5:“ სამუშაო დღეები

ფრუნზის მარშვის ცენტრი, 16 თებერვალი. (საკდისი). დამთავრდა კოსმონავტების ვიქტორ გორბატკოსა და იური გლაზკოვის „სალუტ-5“ ორბიტული სამეცნიერო სადგურში მუშაობის დაგეგმილი პროგრამის პირველი ნახევარი.

ეკიპაჟი განაგრძობს მეცნიერულ-ტექნიკური და სამედიცინო-ბიოლოგიური გამოკვლევებისა და ექსპერიმენტების პროგრამის შესრულებას.

დაიწყო ახალი ტექნოლოგიური ექსპერიმენტი — უწონობაში ნივთიერებათა დიფუზიის თავისებურებების შესწავლა. ხელსაწყო, რომელშიც ცდა ტარდება, წარმოადგენს გასახურებელ ვაზნას და შეიცავს გამოსაკვლევ ორგანულ ნივთიერებებს: დიბენზილსა და ტოლანს. ექსპერიმენტის შედეგებს შეადარებენ დედამიწაზე მიღებული ანალოგიური ცდების მონაცემებთან და გამოიყენებენ კომპიუტერიცა, კერძოდ, ნახევარგამტარი მასალების თვისებათა შემდგომი შესწავლისათვის.

სამდიცინო ექსპერიმენტების პროგრამით კოსმონავტებმა გამოიკვლიეს გულისა და სისხლძარღვთა სისტემები ვაკუუმური ტევადობის მეშვეობით გრავიტაციული ზემოქმედების იმიტაციის პირობებში. გრძელდება აგრეთვე ფიზიკური წვრთნა კომპლექსურ ტრენაჟერზე, ამავე დროს მიმდინარეობს ფუნქციური და ფიზიოლოგიური პარამეტრების რეგისტრაცია.

„სალუტ-5“ სადგურის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს. კვლევის პროგრამა წარმატებით სრულდება.

მ ი ფ რ ი ნ ა ვ ს „კოსმოს-893“

1977 წლის 15 თებერვალს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-893“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. (საკდისი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინა, რომ დასვენებას დღე შაბათიდან — 5 მარტიდან გადატანილ იქნეს ორშაბათისათვის — 1977 წლის 7 მარტისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში შეიტანა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ტყის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტი.

მიღებულია გადაწყვეტილება, რომ საფუძვლების პროექტი გამოქვეყნდეს გაზეთებში—„სსრ კავშირის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ფურცლები“, „სელსკაია ჟიზნ“, „ლესნაია პრომიშლენნოსტ“ და რესპუბლიკური გაზეთებში საზოგადოებრიობის განსახილველად.

საფუძვლების პროექტის გამო შენიშვნები და წინადადებები უნდა გაიგზავნოს მისამართით: მოსკოვი, კრემლი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამდივნო.

(სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ტყის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტი ქვეყნდება მე-2, მე-3 და მე-4 გვერდებზე).

საქართველოს პროფკავშირთა XVI ყრილობის დელეგატთა საყურადღებოდ

საქართველოს პროფკავშირთა XVI ყრილობა გაიხსნება 1977 წლის 18 თებერვალს დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

დელეგატების რეგისტრაცია იწარმოებს 17 თებერვალს საქართველოს პროფსაბჭოში (გრიბოედოვის ქ. № 19) დილის 10 საათიდან 21 საათამდე, ხოლო 18 თებერვალს — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს შენობაში დილის 9 საათიდან. ცნობების მიღება შეიძლება ტელეფონით: №№ 99-67-42; 93-29-11; 93-86-60.

პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭო.

პროექტი სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ტყის კანონმდებლობის საფუძვლები

ელექტრონული ბიბლიოთეკა

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად ტყეები, ისევე როგორც სხვა ბუნებრივი სიმდიდრეები, ჩგენს ქვეყანაში ნაციონალიზებული იყო და საერთო-სახალხო კუთვნილება გახდა. „ტყის შესახებ“ სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1918 წლის 27 (14) მაისის დეკრეტმა განსაზღვრა მთელი ხალხის საკეთილდღეოდ ტყეების გამოყენების მიზნით სატყეო მეურნეობის სოციალისტური ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები.

ტყის სახელმწიფო საკუთრება სსრ კავშირში სატყეო ურთიერთობის, ესე იგი ტყეების გამოყენების, აღდგენის და დაცვის დარგში საზოგადოებრივი ურთიერთობის საფუძველი და სატყეო მეურნეობის რაციონალური გაძღოლის მთავარი წანამძღვარია.

ტყე სსრ კავშირში დიდ როლს ასრულებს ეკონომიკის განვითარებაში, გარემოს გაუმჯობესებასა და მთელი ხალხის კეთილდღეობის დონის ამაღლებაში. იგი მერქანსა და ტყის სხვა პროდუქციაზე ქვეყნის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების წყაროა, კეთილნაყოფიერ გაელენას ახდენს კლიმატსა და მდინარეების ჰიდროლოგიურ რეჟიმზე, იცავს ნიადაგს ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიისაგან და აქვს სხვა სასარგებლო ბუნებრივი თვისებები. ტყეებს სულ უფრო მეტად იყენებენ გამჯანსაღებელი მიზნებისათვის, მოსახლეობის კულტურული და ესთეტიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის.

ამის გამო, რომ ტყეს მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს და მისი გაშენება დიდ დროს მოითხოვს, ტყის სიმდიდრეთა რაციონალური გამოყენების, დაცვისა და გამრავლების საქმეს საერთო-სახელმწიფოებრივი ამოცანის ხასიათი ენიჭება.

საბჭოთა ტყის კანონმდებლობამ აქტიურად უნდა შეუწყოს ხელი ტყეების მეცნიერულად დასაბუთებულ, კომპლექსურ გამოყენებას, მათს გეგმაზომიერ აღდგენასა და ეფექტიან დაცვას ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესებისათვის, საბჭოთა ადამიანების აღზრდას იმისათვის მაღალი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით, რომ ყაირათიანად, მზრუნველობით მოეპყრან ტყეს, როგორც ჩვენი სამშობლოს ბუნებრივ სიმდიდრეთა დიდმნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს.

ქარი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საბჭოთა ტყის კანონმდებლობის ამოცანები

საბჭოთა ტყის კანონმდებლობის ამოცანებია სატყეო ურთიერთობის რეგულირება იმ მიზნით, რომ უზრუნველყოს ტყეების რაციონალური გამოყენება, მათი მოვლა და დაცვა, აღდგენა და პროდუქტიულობის გადიდება მერქანსა და ტყის სხვა პროდუქციაზე სახალხო მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, ტყის წყალდამცავი, დაცვითი, კლიმატმარეგულირებელი, სანიტარიულ-ჰიგიენური, გამჯანსაღებელი და სხვა სასარგებლო ბუნებრივი თვისებების გასაძლიერებლად, აგრეთვე საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა და მოქალაქეთა უფლებების დაცვა, კანონიერების განმტკიცება სატყეო ურთიერთობის დარგში.

მუხლი 2. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ტყის კანონმდებლობა

სატყეო ურთიერთობას სსრ კავშირში აწესრიგებს ეს საფუძვლები და მათ შესაბამისად გამოცემული სსრ კავშირის ტყის კანონმდებლობის სხვა აქტები, მოკავშირე რესპუბლიკების ტყის კოდექსები და ტყის კანონმდებლობის სხვა აქტები.

მუხლი 3. ტყის სახელმწიფო საკუთრება სსრ კავშირში

სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად ტყე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში სახელმწიფო საკუთრებაა, ესე იგი მთელ ხალხს ეკუთვნის.

სსრ კავშირში ტყის ერთადერთი მესაკუთრე სახელმწიფოა და მხოლოდ სარგებლობისათვის გაიცემა. ყოველგვარი მოქმედება, რომელიც ამკარად თუ ფარულად არღვევს ტყის სახელმწიფო საკუთრების უფლებას, აკრძალულია.

მუხლი 4. ერთიანი სახელმწიფო ტყის ფონდი

ერთიან სახელმწიფო ტყის ფონდში შედის:

1) სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეები;

2) საკოლმეურნეო ტყეები.

სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებად ითვლება ტყიანი მიწები, აგრეთვე მიწები, რომლებიც ტყით არ არის დაფარული, მაგრამ განკუთვნილია სატყეო მეურნეობის საჭიროებათათვის. სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების საზღვრები, რომლებიც მათ სხვა კატეგორიათა მიწებისაგან გამოყოფენ, დადგენილი წესით განისაზღვრება ტყეთმოწყობისა და მიწათმოწყობის დროს.

მუხლი 5. ხე-ბუჩქნარი ნარგავები, რომლებიც არ შედის სახელმწიფო ტყის ფონდში

სახელმწიფო ტყის ფონდში არ შედის:

ხეები და ხეთა ჯგუფები, აგრეთვე სხვა ხე-ბუჩქნარი მცენარეულობა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე;

რკინიგზების, საავტომობილო გზებისა და არხების გასწვრივ გაშენებული დამცავი ტყის ზოლები;

ხეები და ხეთა ჯგუფები, აგრეთვე ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების გასამწვანებელი ნარგავები, თუ ისინი გაშენებულია მიწებზე, რომლებიც არ უკავია ქალაქის ტყეებს;

ხეები და ხეთა ჯგუფები საკარმიდამო, საბაღოსა და ბაღის ნაკვეთებზე.

აღნიშნული ნარგავების შექმნა, მათი მოვლა და გამოყენება ხდება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

მუხლი 6. სსრ კავშირის კომპეტენცია სატყეო ურთიერთობის რეგულირების დარგში.

სატყეო ურთიერთობის რეგულირების დარგში სსრ კავშირის გამგებლობას ექვემდებარება:

1) ერთიანი სახელმწიფო ტყის ფონდის განკარგვა სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად სსრ კავშირის უფლებამოსილების განხორციელებისათვის საჭირო ფარგლებში;

2) ტყეებით სარგებლობის, ტყის აღდგენის, პროდუქტიულობის გადიდების, მოვლა-დაცვის ძირითადი დებულებების (წესების, ნორმების) დაწესება;

3) სსრ კავშირის ტყეკაფის ფონდის ოდენობის, მისი განაწილებისა და ზუსტური ხის გაცემის წესის დადგენა;

4) ქვეყნის სატყეო მეურნეობის განვითარების, ტყის რესურსებისა და ტყის სასარგებლო ბუნებრივი თვისებების გამოყენების ძირითადი მიმართულებებისა და პერსპექტიული გეგმების დაწესება;

5) ტყის რაციონალური გამოყენების, აღდგენის, პროდუქტიულობის გადიდების, აგრეთვე მოვლა-დაცვის დარგში საერთო-საკავშირო ღონისძიებათა დაგეგმვა;

6) შესაბამისი ჯგუფებისათვის ტყეების მიკუთვნებისა და ერთი ჯგუფიდან მეორეში მათი გადაყვანის წესის დადგენა;

7) სსრ კავშირისათვის ერთიანი ტყეთმოწყობის, ტყეების აღრიცხვის სისტემებისა და სახელმწიფო სატყეო კადასტრის წარმოების წესის დადგენა;

8) ტყეების მდგომარეობის, გამოყენების, აღდგენის, მოვლა-დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლი და მისი განხორციელების წესის დადგენა.

მუხლი 7. მოკავშირე რესპუბლიკების კომპეტენცია სატყეო ურთიერთობის რეგულირების დარგში

სსრ კავშირის კომპეტენციის ფარგლებს გარეთ სატყეო ურთიერთობის რეგულირების დარგში მოკავშირე რესპუბლიკის გამგებლობას ექვემდებარება: ერთიანი სახელმწიფო ტყის ფონდის განკარგვა რესპუბლიკის ტერიტორიაზე; ტყეებით სარგებლობის, ტყის აღდგენის, პროდუქტიულობის გადიდების, მოვლა-დაცვის წესის დადგენა; სატყეო მეურნეობის განვითარების, ტყის რესურსებისა და ტყის საყარგლო ბუნებრივი თვისებების გამოყენების პერსპექტიული გეგმების დაწესება; ტყის რაციონალური გამოყენების, აღდგენის, პროდუქტიულობის გადიდების, მოვლა-დაცვის დარგში რესპუბლიკურ ღონისძიებათა დაგეგმვა; ტყეების მდგომარეობის, გამოყენების, აღდგენის, მოვლა-დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის განხორციელება, აგრეთვე სატყეო ურთიერთობის სხვა საკითხებზე, თუ ისინი სსრ კავშირის კომპეტენციაში არ შედის.

მუხლი 8. სახელმწიფო მმართველობა ტყეების გამოყენების, აღდგენის, მოვლა-დაცვის დარგში

ტყეების გამოყენების, აღდგენის, მოვლა-დაცვის დარგში სახელმწიფო მმართველობას ახორციელებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოები, აგრეთვე სხვა სახელმწიფო ორგანოები სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 9. ტყეების მდგომარეობის, გამოყენების, აღდგენის, მოვლა-დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლი. სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების გამოყენებისა და დაცვისადმი კონტროლი

ტყეების მდგომარეობის, გამოყენების, აღდგენის, მოვლა-დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის ამოცანა ის არის, რომ ყველა საძინისტროამ, უწყებამ, სახელმწიფო, კოოპერაციულმა, საზოგადოებრივმა საწარმომ, ორგანიზაციამ, დაწესებულებამ და მოქალაქემ დაიცვას ტყეების გამოყენების დადგენილი წესი, სატყეო მეურნეობის გაძღოლის, ტყეების აღდგენის, მათი აღრიცხვისა და დაცვის წესები, აგრეთვე ტყის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა წესები (ნორმები).

მთელი ტყეების მდგომარეობას, გამოყენებას, აღდგენას, მოვლა-დაცვას სახელმწიფო კონტროლს უწევენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოები, მათი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოები, აგრეთვე სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოები სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სატყეო-სამეურნეო, საწარმო-ორგანიზაციებისა და ტყეთმოსარგებლეთა მიერ მიზნობრივი დანიშნულებისამებრ სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების გამოყენებასა და ამ მიწების დაცვას კონტროლს უწევენ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკები სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოები სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 10. საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მოქალაქეთა მონაწილეობა ტყის რაციონალური გამოყენების, აღდგენის, მოვლა-დაცვის ღონისძიებათა განხორციელებაში

პროფესიული კავშირები, ახალგაზრდობის ორგანიზაციები, ბუნების დაცვის საზოგადოებები, სამეცნიერო საზოგადოებები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, აგრეთვე მოქალაქეები ხელს უწყობენ სახელმწიფო ორგანოებსა და კოლმეურნეობებს ტყის რაციონალური გამოყენების, აღდგენის, მოვლა-დაცვის ღონისძიებათა განხორციელებაში.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები მონაწილეობენ ტყეების რაციონალური გამოყენების, აღდგენის, მოვლა-დაცვის საქმიანობაში თანაბარი წესდებებისა (დებულებებისა) და სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. სატყეო მეურნეობის გაძღოლის ძირითადი პრინციპები

სატყეო მეურნეობას უნდა ეუძღვებოდეთ სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმების შესაბამისად, მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევებისა და ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის საფუძველზე, დიფერენცირებულად ტყეებისა და ბუნებრივი პირობების სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის მიხედვით.

სატყეო მეურნეობის განვითარების დაგეგმვის, მისი გაძღოლის, აგრეთვე ტყის რესურსების გამოყენების დროს უნდა გავითვალისწინოთ ხანგრძლივი პერსპექტივა და დავიცვათ შემდეგი მოთხოვნები:

უზრუნველვყოთ სატყეო-სამეურნეო წარმოების განუწყვეტელი ზრდა და მისი ეფექტიანობის ამაღლება, ტყეების არაგამანადგურებელი და რაციონალური გამოყენება, რათა გეგმაზომიერად დავაკმაყოფილოთ სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებანი მერქანსა და ტყის სხვა პროდუქციაზე;

გავაფართოოთ ტყეების აღდგენა, გავაუმჯობესოთ ჯიშობრივი შედგენილობა, ტყეების ხარისხი და გავადიდოთ მათი პროდუქტიულობა;

გავაძლიეროთ ტყეების წყალდამცავი, დაცვითი, კლიმატმარეგულირებელი, გამჯანსაღებელი და სხვა სასარგებლო ბუნებრივი თვისებები სახალხო მეურნეობის ინტერესებისათვის, გარემოს გაუმჯობესებისა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის ინტერესებისათვის;

დავიცვათ ტყეები ხანძრებისაგან, ტყის მეურნეობის წესების დარღვევების, მავნე მწერებისა და დაავადებებისაგან;

რაციონალურად გამოვიყენოთ მიწები სატყეო მეურნეობის საჭიროებებისათვის.

მუხლი 12. სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოების უფლებამოსილება მათლამა დაქვემდებარებულ სატყეო-სამეურნეო საწარმოთა მიწების გამოყენებისა და დაცვის დარგში

სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოების სისტემის სატყეო-სამეურნეო საწარმოთა მიწებზე სატყეო მეურნეობის გაძღოლისა და მასთან დაკავშირებული საჭიროებებისათვის სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოები განსაზღვრავენ ფართობებს, სადაც უნდა განხორციელდეს სხვადასხვა სახეობის ტყეთსარგებლობა, გასცემენ ტყეთსარგებლობის განხორციელებისა და მასთან დაკავშირებული საჭიროებებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყენების ნებართვებს, განსაზღვრავენ ფართობებს, რომლებზეც უნდა შესრულდეს ტყის აღდგენის სამუშაოები და ტყის მოვლის ღონისძიებები, გამოპყოფენ ნაკვეთებს ტყის სანერგეების, სკოლების, პლანტაციების შესაქმნელად და ა. შ., ორგანიზაციას უწევენ ამ მიწების დაცვას და მიზნობრივი დანიშნულებისამებრ გამოყენებას, აგრეთვე სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების აღრიცხვას.

მუხლი 13. სატყეო მეურნეობის გაძღოლა სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეებში

სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეებში (ქალაქის ტყეების, მიჩენილი ტყეებისა და ნაკრძალების ტყეების გარდა) სატყეო მეურნეობის გაძღოლა ეკისრებათ სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოების სატყეო-სამეურნეო საწარმოებს. სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოების გამგებლობაში შემავალი ეს ტყეები ძირითადი წყაროა, რომლითაც კმაყოფილდება სახალხო მეურნეობის მოთხოვნილება მერქანსა და სხვა სატყეო პროდუქციაზე, და გამოიყენება საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის მრავალმხრივი მნიშვნელობის გათვალისწინებით. სატყეო-სამეურნეო საწარმოებსა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოებს ტყეებს უნაწილებენ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოები.

სატყეო მეურნეობის გაძღოლა ქალაქის ტყეებში ეკისრებათ სატყეო-სამეურნეო და სხვა საწარმოებს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული (ქალაქებში) საბჭოების აღმასკომებს, მიჩენილ ტყეებში — სატყეო-სამეურნეო და იმ უწყებათა სამინისტროთა სხვა საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომლებსაც მიჩენილი აქვთ ეს ტყეები, ხოლო ნაკრძალების ტყეებში — ნაკრძალებს. სატყეო მეურნეობის გაძღოლა ქალაქის ტყეებში შეიძლება ხორციელდებოდეს აგრეთვე სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოების სატყეო-სამეურნეო საწარმოებთან ერთად.

სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოების სატყეო-სამეურნეო საწარმოებს, სხვა საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომლებიც სატყეო მეურნეობას უძღვებიან სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეებში, ეკისრებათ სახელმწიფო ტყის ფონდის ტყეებისა და მიწების აღრიცხვა, ტყეების აღდგენა, ტყეების მოვლა, ტყის ნიადაგების ნაყოფიერების ამაღლება, ტყეთსარგებლობის რეგულირება და მისი განხორციელებისადმი კონტროლი, ტყეების დაცვა ხანძრებისაგან, უკანონო გაჩეხისა და სატყეო მეურნეობის წესების სხვა დარღვევებისაგან, ტყეების დაცვა მავნე მწერებისა და დაავადებებისაგან, აგრეთვე სატყეო მეურნეობის სხვა მოვალეობები, რომლებიც დაწესებულია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოებს მითითებები სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დაწესებულ უფლებათა ფარგლებში სავალდებულოა სამინისტროებისათვის, უწყებებისათვის, საწარმო-ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის, რომლებსაც აკისრიათ სატყეო მეურნეობის გაძღოლა, ტყეთმოსარგებლეებისათვის, აგრეთვე საწარმო-ორგანიზაციებისათვის, დაწესებულებებისა და მოქალაქეებისათვის, რომლებიც სახელმწიფო ტყის ფონდის ტყეებსა და ტყით დაუფარავ მიწებზე ეწევიან სამუშაოებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული სატყეო მეურნეობის გაძღოლასთან და ტყეთსარგებლობის განხორციელებასთან.

სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოების სატყეო-სამეურნეო საწარმოთა, სხვა იმ საწარმო-ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მითითებები, რომლებსაც აკისრიათ სატყეო მეურნეობის გაძღოლა სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეებში, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დაწესებულ უფლებათა ფარგლებში სავალდებულოა ყველა ტყეთმოსარგებლისათვის, აგრეთვე საწარმო-ორგანიზაციებისათვის, დაწესებულებებისა და მოქალაქეებისათვის, რომლებიც ამ ტყეებსა და სახელმწიფო ტყის ფონდის ტყეების ტყით დაუფარავ მიწებზე ეწევიან სამუშაოებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული სატყეო მეურნეობის გაძღოლასთან და ტყეთსარგებლობის განხორციელებასთან.

სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოების სატყეო-სამეურნეო საწარმოებს, სხვა იმ საწარმო-ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომლებსაც აკისრიათ სატყეო მეურნეობის გაძღოლა სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეებში, შეუძლიათ განახორციელონ ტყეთსარგებლობის ღონისძიებანი, რომლებიც გათვალისწინებულია ამ საფუძვლების 21-ე მუხლით.

მუხლი 14. სატყეო მეურნეობის გაძღოლა საკოლმეურნეო ტყეებში

კოლმეურნეობებისათვის უვადო სარგებლობაში გადაცემულ მიწებზე არსებული ტყეები, რომლებიც დადგენილი წესის მიხედვით არის გატარებული მიწის სააღრიცხვო დოკუმენტებში, საკოლმეურნეო ტყეებად ითვლება.

საკოლმეურნეო ტყე ასრულებს მინდორსაცავ, ეროზიასაწინააღმდეგო, წყალდამცავ და სხვა ფუნქციებს, და განკუთვნილია იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს კოლმეურნეობების საზოგადოებრივი მეურნეობის მოთხოვნილება და კოლმეურნეთა საჭიროებები მერქანზე, განხორციელდეს ინაპირდაპირი ტყეთსარგებლობა. საკოლმეურნეო ტყეების გამოყენება შეიძლება აგრეთვე ტყის სარეწების განვითარებისათვის.

საკოლმეურნეო ტყეები უვადო სარგებლობაში აქვთ კოლმეურნეობებს.

სატყეო მეურნეობას საკოლმეურნეო ტყეებში უძღვებიან კოლმეურნეობანი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული საკოლმეურნეო ტყეების დებულების შესაბამისად. კოლმეურნეობებს შეუძლიათ სატყეო მეურნეობას გაუძღვნენ სხვა კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და სხვა სახელმწიფო საწარმოებთან ერთად იმ წესით, რომელსაც განსაზღვრავს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

საკოლმეურნეო ტყეებში სატყეო მეურნეობის ორგანიზაციასა და გაძღოლას ხელმძღვანელობენ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ორგანოები.

სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოები კოლმეურნეობებს ეხმარებიან სატყეო მეურნეობის გაძღოლის დაგეგმვა-ორგანიზაციაში, ხოლო საჭიროების შემთხვევაში — ორგანიზაციას უწევენ იმ საქმეს, რომ მათდამი დაქვემდებარებულმა საწარმოებმა კოლმეურნეობებთან (საკოლმეურნეო ტყეებში მოქმედ სატყეო-სამეურნეო ორგანიზაციებთან) დადებული ხელშეკრულებები შეასრულონ სატყეო-სამეურნეო, სატყეო-კულტურული და ტყისდამცავი სამუშაოები.

მუხლი 15. ტყეების ჯგუფებად დაყოფა

ტყეების სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის, აღგილმდებარეობისა და შესასრულებელი ფუნქციების შესაბამისად შეფასებულია ტყეების დაყოფა ჯგუფების მიხედვით. სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეები იყოფა პირველ, მეორე და მესამე ჯგუფად, ხოლო საკოლმეურნეო ტყეები — პირველ და მეორე ჯგუფებად.

ტყეების პირველ ჯგუფს განეკუთვნება სახელმწიფოო მნიშვნელობის ტყეები და საკოლმეურნეო ტყეები, რომლებიც უპირატესად ასრულებენ ისეთ ფუნქციებს, როგორიც არის:

წყალდამცავი (მდინარეების, ტბების, წყალსაცავებისა და სხვა წყლის ობიექტების ნაპირებს გაფოლებული აკრძალული ტყის ზოლები, მათ შორის აკრძალული ტყის ზოლები, რომლებიც ძერფასი სარეწაო თევზების საქერიოებებს იცავენ);

დამცავი (ეროზიასაწინააღმდეგო ტყეები, მათ შორის ციცაბო მთის ფერდობებს შეფენილი ტყეები, სახელმწიფო დამცავი ტყის ზოლები, ლენტისებრი კორომები, მინდვრის ტყეები და ღელისპირა ტყეები, რკინიგზების, საერთო სახელმწიფო, რესპუბლიკური და საოლქო მნიშვნელობის საავტომობილო გზების მიმდებარე დამცავი ტყის ზოლები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიწებზე გაშენებული მინდორსაცავი ტყის ზოლები);

სანიტარიულ-ჰიგიენური და გამჯანსაღებელი (ქალაქის ტყეები, ქალაქების, მსხვილი დასახლებული პუნქტებისა და სამრეწველო საწარმოების იარგლოვ მდებარე მწვანე ზონების ტყეები, წყალმომარაგების წყაროების სანიტარიული დაცვის ზონებისა და კურორტების სანიტარიული დაცვის ოლქების ტყეები);

ზოგადკულტურული (ბუნებრივი ძეგლები და ტყე-პარკები, მეცნიერული ან ისტორიული მნიშვნელობის ტყეები, ნაკრძალების ტყეები და ნაკრძალი ტყის უბნები);

ნაყოფსარეწაო (თხილ-კაკლის სარეწაო ზონების ტყეები და ტყის ხილის ნარგავები).

ტყეების პირველ ჯგუფს განეკუთვნება აგრეთვე ტუნდრისპირა და სუბალპური ტყეები.

პირველი ჯგუფის ტყეები (ამ საფუძვლების 23-ე მუხლის მეშვიდე ნაწილში ჩამოთვლილი ტყეების გამოკლებით), გარდა იმისა, რომ ასრულებენ ამ მუხლში აღნიშნულ ფუნქციებს, გამოიყენება აგრეთვე მერქნის განუწყვეტელი, არაგამანადგურებელი მოხმარების უზრუნველყოფად.

ტყეების მეორე ჯგუფს განეკუთვნება დამცავი და შეზღუდული საექსპლოატაციო მნიშვნელობის ტყეები ისეთ რაიონებში, სადაც მოსახლეობის დიდი სიმჭიდროვე და სატრანსპორტო გზების განვითარებული ქსელია, აგრეთვე ტყენედლეულის ნაკლებრენტაბელური ტყეები, რომლთა დამცავი ფუნქციების შესანარჩუნებლად, უწყვეტი და ყაირათიანი გამოყენების უზრუნველსაყოფად საჭირო სატყეო მეურნეობის გაძღოლის უფრო მკაცრი რეჟიმი.

ტყეების მეორე ჯგუფს განეკუთვნება ყველა საკოლმეურნეო ტყე, რომლებიც პირველი ჯგუფის შემადგენლობაში არ შედის.

ტყეების მესამე ჯგუფს განეკუთვნება ბევრტყიანი რაიონების ტყეები, რომლებსაც უპირატესად საექსპლოატაციო მნიშვნელობა აქვს და განკუთვნილია იმისათვის, რომ განუწყვეტელ ,ამაყოფილებდეს სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებები მერქანზე ამ ტყეების დამცავი ფუნქციებისათვის ზიანის მიუყენებლად.

მესამე ჯგუფის ტყეები იყოფა ათეულებულ და სარეზერვო ტყეებად.

სარეზერვოდ ითვლება ტყე, რომელსაც საექსპლოატაციოდ არ იყენებენ სატრანსპორტო გზებიდან დაშორებისა და სხვა მიზეზების გამო.

შესაბამისი ჯგუფებისათვის ტყეების მიკუთვნებასთან ერთად განისაზღვრება მიწის საზღვრები, რომელიც ყოველი ჯგუფის ტყეებს უკავიათ. ტყეების ჯგუფის მიხედვით დადგენილია ამ ტყეებში მეურნეობის გაძღოლის ტყეებისა და შესაბამისი მიწების გამოყენების წესი, აგრეთვე ამ მიწების სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებებისათვის გადაცემის წესი.

ტყეების ჯგუფებისათვის მიკუთვნება, ერთი ჯგუფიდან მეორეში გადაყვანა, აკრძალული და დამცავი ზოლების სიგანის დადგენა, აგრეთვე ციცაბო მთის ფერდობებს შეფენილი ტყის უბნების მიკუთვნება დამცავი ტყეებისათვის, წარმოების ეკონომიური რიგისამუშაოების საფუძველზე. ტყეების სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობისა და მათი ფუნქციების გათვალისწინებით სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 16. ტყის ფართობების გადაყვანა უტყეო ფართობებად

ტყის ფართობების გადაყვანა არასატყეო ფართობებად მათს გამოსაყენებლად ისეთი მიზნებისათვის, რომლებიც არ არის დაკავშირებული სატყეო მეურნეობის გაძღოლასთან და ტყეთსარგებლობის განხორციელებასთან (მიწების კატეგორიის შეცვლის მიუხედავად), წარმოებს:

პირველი ჯგუფის ტყეებში — გამონაკლის შემთხვევებში, მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით;

მეორე და მესამე ჯგუფის ტყეებში — სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ტყანი მიწის ნაკვეთის ჩაშორებისას სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებებისათვის. ჩამორთმევის გადაწყვეტილების მიღებამ სახელმწიფო ორგანოებმა ამასთანავე უნდა გადაწყვიტონ საკითხი ტყის დატოვება-გაჩეხვის შესახებ და ამ დროს მიღებული მერქნის გამოყენების წესის შესახებ.

მუხლი 17. მიწების გამოყენება სატყეო მეურნეობის გაძღოლასთან დაკავშირებული საწარმოო ობიექტების მშენებლობისათვის

სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოების სატყეო-სამეურნეო საწარმოებს, სხვა საწარმო-ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომლებსაც აკისრიათ სატყეო მეურნეობის გაძღოლა სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეებში. შეუძლიათ დადგენილი წესის მიხედვით აშენონ ტყეებში და სახელმწიფო ტყის ფონდის უტყეო ფაფარავ მიწებზე სატყეო მეურნეობის გაძღოლასთან დაკავშირებული საწარმოო ობიექტები, და საჭიროების შემთხვევაში (იმ ორგანოების ნებართვით, რომელთა გამგებლობაშიც შედის ეს საწარმო-ორგანიზაციები და დაწესებულებანი) ტყის ფართობები გადაიყვანონ არასატყეო ფართობებად.

კოლმეურნეობებს შეუძლიათ მათთვის უვადოდ სარგებლობაში მიცემულ სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებზე აშენონ სატყეო მეურნეობის გაძღოლასთან დაკავშირებული საწარმოო ობიექტები, — მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების ნებართვით.

მუხლი 18. იმ საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების განლაგება, დაპროექტება, მშენებლობა და საექსპლოატაციოდ გადაცემა, რომლებიც გავლენას ახდენენ ტყეების მდგომარეობასა და აღდგენაზე

ახალი და რეკონსტრუირებული საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების განლაგების, დაპროექტების, მშენებლობისა და საექსპლოატაციოდ გადაცემისას, აგრეთვე ახალი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვისას, რომლებიც გავლენას ახდენს ტყეების მდგომარეობასა და აღდგენაზე, უნდა გავითვალისწინოთ და განვახორციელოთ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფს ტყეების დაცვას ჰაერის, ,ეირების, ქიმიური ნივთიერებისა და სხვა საშრომლო და კოლმეურნეობრივ-საოფიციალო გამონაფრქვევის ნარჩენებისა და ნაგვის უარყოფითი ზემოქმედებისაგან.

იმ საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების მშენებლობის ადგილების განსაზღვრისას, რომლებიც გავლენას ახდენენ ტყეების მდგომარეობასა და აღდგენაზე, უნდა შეკუთანხმდეთ სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოებს, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებსა და სხვა ორგანოებს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების მშენებლობის პროექტები უნდა შეკუთანხმოთ სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოებს იმ შემთხვევაში და წესით, რომლებიც დაწესებულია სსრ კავშირის კანონმდებლობით.

აკრძალულია ახალი და რეკონსტრუირებული საწარმოების, საამქროების, აგრეგატების, სატრანსპორტო გზების, კომუნალური და სხვა ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემა, თუ ისინი არ არის აღჭურვილი მოწყობილობით, რომელიც უზრუნველყოფს ტყეების მდგომარეობასა და აღდგენაზე მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებას.

მუხლი 19. ტყეებში იმ სამუშაოთა წარმოების წესი, რომლებიც არ არის დაკავშირებული სატყეო მეურნეობის გაძღოლასთან და ტყეთსარგებლობის განხორციელებასთან

სამშენებლო და ასაფეთქებელი სამუშაოები, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება, ქაბელების, მილსადენებისა და სხვა კომუნიკაციების გაყვანა, საბურღი და სხვა სამუშაოები ტყეებში, აგრეთვე სახელმწიფო ტყის ფონდის უტყეო მიწებზე, თუ ეს სამუშაოები არ არის დაკავშირებული სატყეო მეურნეობის გაძღოლასთან და ტყეთსარგებლობის განხორციელებასთან, წარმოებს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოებთან, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან და სხვა ორგანოებთან შეთანხმებით. — სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

აღნიშნული სამუშაოები უნდა ხორციელდებოდეს ისეთი ხერხებით, რომლებიც არ გამოიწვევს ტყეების ხანძარსაწინააღმდეგო და სანიტარიული მდგომარეობისა და ტყის აღდგენის პირობების გაუარესებას.

ქარი II

ტყეთსარგებლობა

მუხლი 20. ტყეთმოსარგებლენი

სსრ კავშირში ტყეთმოსარგებლენი შეიძლება იყვნენ სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი საწარმოები, ორგ

პროექტი სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ტყის კანონმდებლობის საფუძვლები

(გაგრძელება).

ზოგად-კულტურული დანიშნულების ტყეებში, დასახლებულ პუნქტებთან ახლომდებარე სარეწი კაკლის ზონების ტყეებში, ნაყოფის მომცემ ტყის ნარგავებში, ქალაქების ტყეებში, მწვანე ზონების ტყე-პარკების ნაწილებში, წყალმომარაგების წყაროების სანიტარიული დაცვის ზონებისა და კურორტების სანიტარიული დაცვის ოლქების ტყეებში, მინდორსაცავ ტყის ზოლებში დასაშვებია მხოლოდ დამცავი გამოკაფვა და სანიტარიული ჭრა.

იმ ტყეების აკრძალულ ზოლებში, რომლებიც ძვირფასი სარეწი თევზების საქვირითეებს იცავს, ეწყობა ტყის დამცავი გამოკაფვა და სანიტარიული ჭრა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით დასაშვებია ტყის შერჩევითი ჭრა.

მთის ტყეებში იყენებენ ჭრის წესებს, რომლებიც ითვალისწინებს ამ ტყეების განსაკუთრებულ დაცვითს, ეროზიასაწინააღმდეგო და წყალშარეგულირებელ მნიშვნელობას.

ტყის განსაკუთრებულ დაცვითს უბნებში, რომლებიც ტყის ჭრის წესებით განსაზღვრება, შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ აკრძალოს პირწმინდა ტყესაკაფი ჭრა.

ტყის ჭრის წესები მტკიცდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 24. მერქნის დამზადების ოდენობის განსაზღვრა

მთავარი სარგებლობის ჭრის წესით მერქნის დამზადების დაგეგმვა და მოწყობა იმ საფუძველზე ხდება, რომ საჭიროა დამყოფილდეს სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებანი მერქანზე, უზრუნველყოფილ იქნეს განუწყვეტელი და არაგამანადგურებელი (საანგარიშო ტყეკაფის გათვალისწინებით) ტყეთსარგებლობა.

მერქნის დამზადება მთავარი სარგებლობის ჭრის წესით, უმთავრესად, დამტკიცებული საანგარიშო ტყეკაფის ფარგლებში ხდება.

მთავარი სარგებლობის ჭრა ისეთი ოდენობით, რომელიც საანგარიშო ტყეკაფს აღემატება, დასაშვებია აუცილებელ შემთხვევებში იმ წესით, რომელსაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო განსაზღვრავს.

შუალედური სარგებლობის ჭრის დროს მერქნის დამზადების ოდენობა განისაზღვრება იმ საფუძველზე, რომ საჭიროა გაუმჯობესდეს ტყეების ჯიშობრივი შედგენილობა და ხარისხი, ხოლო სხვაგვარი ჭრის დროს მერქნის დამზადების ოდენობის განსაზღვრას ტყის ფართობების გაწმენდის, განაკაფების შექმნის, სათესლე ხეების მოსავლის აღების და სხვა სამუშაოთა მოცულობა.

მუხლი 25. ტყეკაფის ფონდი

ტყეკაფის ფონდს ქმნის მერქნის დასამზადებლად განკუთვნილი მწიფე ტყის ნარგავების მარაგი. ყოველწლიურად გამოყოფილი ტყეკაფის ფონდის ოდენობა სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმებში განისაზღვრება ცალ-ცალკე ტყეების ჯგუფების მიხედვით.

ტყეთმოსარგებლეებს (ტყის დამამზადებლებს) ტყეკაფის ფონდს ნატურით გადასცემენ (ტყეკაფს გამოუყოფენ) სტყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოების, სტყეო-სამეურნეო საწარმოები, სხვა საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებსაც ევალებათ სტყეო მეურნეობის გაძღოლა.

ტყეთმოსარგებლეებისათვის ტყეკაფის ფონდის გადაცემის წესი განისაზღვრება სსრ კავშირის ტყეების ზეზეური ხის გაცემის წესებით, რომლებსაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ამტკიცებს.

მუხლი 26. ტყის დამამზადებელი საწარმოებისათვის ზეზეური ხის მარაგის მიჩენა.

ტყეების გეგმაზომიერი და ხანგრძლივი სამრეწველო ექსპლოატაციის უზრუნველსაყოფად ტყის დამამზადებელ საწარმოებს მესამე და მეორე ჯგუფების ტყეებში მიჩენილი აქვთ ეკონომიკურად დასაბუთებული ვადით ზეზეური ხის მარაგი გარკვეულ ფართობზე (ხე-ტყის ნედლეულის ბაზები), აგრეთვე ხანგრძლივი სარგებლობის ტყეკაფის ფონდი. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში ზეზეური ხის მარაგი ხანგრძლივი სარგებლობის ტყეკაფის ფონდის სახით მიჩენილი აქვთ ტყის დამამზადებელ საწარმოებს, აგრეთვე პირველი ჯგუფის ტყეებში (ზოგადკულტურული დანიშნულების ტყეების, დასახლებულ პუნქტებთან ახლომდებარე სარეწი კაკლის ზონების ტყეების, ნაყოფის მომცემი ტყის ნარგავების, ქალაქის ტყეების, მწვანე ზონების ტყე-პარკების, წყალმომარაგების წყაროების სანიტარიული დაცვის ზონებისა და კურორტების სანიტარიული დაცვის ოლქების, ძვირფასი სარეწი თევზების საქვირითეების დამცავი, ტყეების აკრძალული ზოლების, მინდორსაცავი ტყის ზოლების გარდა).

ზეზეური ხის მარაგის მიჩენისა და ათვისების წესი განისაზღვრება ტყეების ჯგუფის მიხედვით.

ტყის დამამზადებელი საწარმოებისათვის ზეზეური ხის მარაგის მიჩენის დროს გათვალისწინებულია მერქანზე აღგილობრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

მიჩენილი ხე-ტყის ნედლეულის ბაზებიდან ტყის დამამზადებელი საწარმოებისათვის და ნატურალური ტყეკაფის ფონდის გარკვეული ფართობისა და ხანგრძლივი სარგებლობის ტყეკაფის ფონდის გადაცემა ხდება ამ საფუძვლების 22, 23, 24 და 25 მუხლების შესაბამისად.

ხე-ტყის ნედლეულის ბაზებისა და ხანგრძლივი სარგებლობის ტყეკაფის ფონდის მიჩენა, ხელახალი განაწილება და ჩამორთმევა ხდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 27. ზეზეური ხის გაცემა

ზეზეური ხე ტყეებში გაიცემა დადგენილი ტაქსით გათვალისწინებულ ფასად. ზეზეური ხე საკოლმეურნეო ტყეებში კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის საჭიროებათათვის უფასოდ გაიცემა.

სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოების სატყეო-სამეურნეო საწარმოები, სხვა საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებსაც სატყეო მეურნეობის გაძღოლ ევალებათ, თავისუფლდებიან იმ მერქნის საფასურის გადახდის[illegible]ნ, რომელსაც ტყის მოვლის ღონისძიებებისა და სხვა სატყეო-სა[illegible]ნეო ღონისძიებების განხორციელების დროს იღებენ.

ზეზეური ხის გაცემის საფასურის გადახდის, ტ[illegible]ების დადგენის, ყოველგვარი ჭრისათვის გათვალისწინებული ზეზეური ხის ფასის გადახდა[illegible]აგან ცალკეულ შემთხვევებში სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და მოქალაქეების ნაწილობრივი ან სრული განთავისუფლების წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის კანონმდებლობა.

მუხლი 28. ფისის დამზადების წესი

ტყეებში ფისის დამზადება შეუძლიათ მხოლოდ სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს. ფისის დამზადებისათვის საფასურის გადახდის წესს იდგენს სსრ კავშირის კანონმდებლობა.

მთავარი სარგებლობის ჭრა იკრძალება გამოფისვის ვადების გასვლამდე იმ წიწვოვან ნარგავებში, რომლებიც დადგენილი წესით ფისის მოსავლიანად არის გათვალისწინებული. აღნიშნული ნარგავების ჭრა გამოფისვამდე, აგრეთვე გამოფისვიდან ნარგავების ვადამდე გამოყვანა დასაშვებია წესით, რომელსაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო განსაზღვრავს.

მუხლი 29. მეორეხარისხოვანი ტყის მასალების დამზადების წესი

სამრეწველო გადამუშავებისათვის, ტყის სარეწების განვითარებისა და მოსახლეობის საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის მეორეხარისხოვანი ტყის მასალების დამზადება უნდა ხდებოდეს ტყისათვის ზარალის მიუყენებლად. მეორეხარისხოვანი ტყის მასალების დამზადებას, ამ მასალებზე ტაქსების დამტკიცების ან მათი საფასურის გადახდისაგან განთავისუფლების წესს იდგენს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 30. არაპირდაპირი ტყეთსარგებლობის წესი.

არაპირდაპირი ტყეთსარგებლობა უფასოა, ხის წვენების, ველური ხილის, კაკლის, სოკოს, კენკრის და ტექნიკური ნედლეულის სარეწი დამზადების გარდა. აღნიშნული პროდუქციის ტაქსებს აწესებს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოების სატყეო-სამეურნეო საწარმოები, სხვა საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებსაც სატყეო მეურნეობის გაძღოლა ევალებათ, ყოველგვარ არაპირდაპირ ტყეთსარგებლობას უფასოდ ახორციელებენ.

ტყეებში და სახელმწიფო ტყის ფონდის უტყეო მიწებზე თიბვა და პირუტყვის ძოვება აკრძალულია უბნებზე, სადაც ამას შეუძლია ზიანი მიაყენოს სატყეო მეურნეობას.

სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეებში სათიბები და საძოვრები, რომლებსაც სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამზადების მრეწველობის საჭიროებებისათვის არ იყენებენ, ეძლევათ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სხვა საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და მოქალაქეებს დროებითი სარგებლობისათვის, თუ ასეთი სარგებლობა შეესაბამება სატყეო მეურნეობის ინტერესებს. სათიბებისა და საძოვრების გადაცემისას დაცული უნდა იყოს მიწის კანონმდებლობის მოთხოვნები. საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებიც სარგებლობისათვის იღებენ სათიბებსა და საძოვრებს, სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოების სატყეო-სამეურნეო საწარმოებს, სხვა საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომლებსაც სატყეო მეურნეობის გაძღოლა ევალებათ, უნაზღაურებენ ამ სავარგულების მოვლისა და გაუმჯობესების ხარჯებს

არაპირდაპირი ტყეთსარგებლობის, აგრეთვე სათიბებისა და საძოვრების მოვლისა და გაუმჯობესების ხარჯების ანაზღაურების წესს იდგენს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 31. სამეცნიერო-საკვლევი მიზნებისათვის ტყეთ-სარგებლობის წესი

ტყეებში სამეცნიერო-საკვლევ სამუშაოთა მოსაწყობად შესაბამის საწარმო-ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შეიძლება გამოეყოს სპეციალური უბნები. გამოყოფილ უბნებში შეიძლება შეეზღუდოთ ან მთლიანად აეკრძალოთ ტყეთსარგებლობა სხვა საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და მოქალაქეებს, თუ ეს შეუთავსებელია სამეცნიერო-საკვლევ სამუშაოთა მიზნებთან.

სამეცნიერო-საკვლევი მიზნებისათვის ტყეთსარგებლობის წესს იდგენს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 32. კულტურულ-გამჯანსაღებელი მიზნებისათვის ტყეთ-სარგებლობის წესი

მწვანე ზონების ტყეებში მოსახლეობის დასვენების ორგანიზაციის მიზნით სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოების სატყეო-სამეურნეო საწარმოები, აგრეთვე, მათთან შეთანხმებით, სხვა საწარმო-ორგანიზაციები და დაწესებულებანი ახორციელებენ ტყის უბნების კეთილშოწყობისა და მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების ღონისძიებებს ტყის გარემოს და ბუნებრივი ландშაფტების შენარჩუნების საჭიროების გათვალისწინებით, ქალაქის გარეუბნების არქიტექტურული დაგეგმარების და სახიტარიული მოთხოვნების შესაბამისად.

კულტურულ-გამჯანსაღებელი მიზნებისათვის ტყეთსარგებლობის წესს იდგენს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 33. სამონადირეო მეურნეობის საჭიროებისათვის ტყეთ-სარგებლობის წესი

ტყეებში ტყეთსარგებლობისა და. სატყეო-სამეურნეო ღონისძიებათა განხორციელებისას ინგარიში უნდა გაეწიოს ნადირის ბინადრობის ხელშემწყობი პირობების შენარჩუნების აუცილებლობას.

ტყეში ნადირის რაოდენობა განისაზღვრება აგარისათვის დასაშვები სიმჭიდროვის ფარგლებში, რათა ნადირი ზარალს არ აყენებდეს ტყისა და სოფლის მეურნეობას.

ნადირობისა და სამონადირეო მეურნეობის გაძღოლის წესს არეგულირებს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 34. ტყეთმოსარგებლეთა უფლება-მოვალეობანი

ტყეთმოსარგებლეებს უფლება აქვთ და მოვალენი არიან განახორციელონ მხოლოდ მათთვის ნებადართული ტყეთსარგებლობის ღონისძიებანი.

ტყეთსარგებლობის სახეობისდა მიხედვით ტყეთმოსარგებლეებს უფლება აქვთ დადგენილი წესით გაიყვანონ ხე-ტყის საჰიდი გზები, მოაწყონ მოედნები ტყის პროდუქციის შესანახად, აშენონ საწარმოო და სამეურნეო ნაგებობანი, დააყენონ დასამორი და მერქნის გადასამუშავებელი მოწყობილობა და სამარჯვები, მოაწყონ ტრანსპორტის სადგომები და ა. შ.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ტყეთმოსარგებლეებს შეიძლება შეეზღუდოთ უფლებები სახელმწიფო ინტერესებისათვის, აგრეთვე სხვა ტყეთმოსარგებლეთა ინტერესებისათვის.

აკრძალულია ტყეთსარგებლობა უშრომელი შემოსავლის მისაღებად.

ტყეთმოსარგებლეთა დარღვეული უფლებები უნდა აღდგეს, ხოლო მათთვის მიყენებული ზარალი — ანაზღაურდეს ამ საფუძვლებით და სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სხვა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ტყეთსარგებლობის სახეობისდა მიხედვით ტყეთმოსარგებლენი მოვალენი არიან:

რაც შეიძლება სრულად და რაციონალურად გამოიყენონ მათთვის გადაცემული ტყეკაფები, გამოაფსოდ გამოყოფილი ტყის ნარგავები, ტყის სათიბები და სხვა აგარები.

არ მიატოვონ ჭრადაწყებული ტყეკაფები, აგრეთვე არ დატოვონ დამზადებული მერქანი ჭრის ადგილებზე და ტყეში მისი დამზადებისა და გატანის ვადის გასვლის შემდეგ, რომელიც დადგენილია სსრ კავშირის ტყეებში ზეზეური ხის გაცემის წესებით. მერქნის ჯორგად დასაცურებლად გატანის შემთხვევებში ხე-ტყის დამამზადებლებს, გამონაკლისის სახით, შეიძლება ნება დაერთოთ დროებით დატოვონ ტყეკაფებში დამზადებული მერქანი;

აწარმოონ სამუშაოები ისეთი ხერხებით, რომლებიც არ გამოიწვევს ნაადგილ ეროზიას, გამორიცხავს ან შეზღუდავს როგორც ძირების, დაკაობებას, ისე ტყეთსარგებლობის უარყოფითს გავლენას ტყეების მდგომარეობისა და აღდგენაზე, აგრეთვე წყალსატევებისა და სხვა ბუნებრივი ობიექტების მდგომარეობაზე;

დაიცვან სანახევრო უსაფრთხობის წესები, განახორციელონ სამუშაოთა მოწყობის ადგილებში ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებანი, ხოლო ტყის ხანძრის გაჩენის შემთხვევაში — ჩააქრონ იგი;

არ დაუშვან მერქნის დანაკარგები, სამასალე მერქნის საშეშედ გადაყვანა, აგრეთვე სამასალე მერქნის არადანიშნულებისამებრ ხარჯვა;

გაწმინდონ ტყეკაფები და თავიანთი სახსრებით მოიყვანონ დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის შესაფერის მდგომარეობაში ტყეთსარგებლობის შედეგად დარღვეული მიწის ნაკვეთები.

მუხლი 35. მოქალაქეთა ყოფნა ტყეში

მოქალაქეებს უფლება აქვთ თავისუფლად იარონ ტყეში, მოკრიფონ ველური ხილი, თხილ-კაკალი, სოკო, კენკრა და ა. შ.

მოქალაქეთა ტყეში ყოფნა, ხილის, თხილ-კაკლის, სოკოს, კენკრისა და ა. შ. შეგროვება შეიძლება შეიზღუდოს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი წესით, სახანძრო უსაფრთხობის, თხილ-კაკლის სარეწაო, ტყის ხილის ან ტყის საოსნლე მეურნეობის გაძღოლის ინტერესებისათვის, ხოლო ნაკრძალების ტყეებსა და სხვა ტყეებში — ამ ტყეებში მოქმედი ტყეთსარგებლობის სპეციალური წესის შესაბამისად.

მოქალაქენი მოვალენი არიან დაიცვან ტყეებში სახანძრო უსაფრთხობის წესები, არ დაუშვან ხისა და ბუჩქების მტვრევა და უნებართვო გაჩეხა, ტყის კულტურების დაზიანება, ჭიანჭველისა და ჩიტის ბუდეების გაჩხანგება და ა. შ.

მუხლი 36. საწარმო-ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ტყეთ-სარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძვლები

საწარმო-ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ტყეთსარგებლობის უფლება მოლიანად ან ნაწილობრივ წყდება შესაბამისად შემდეგ შემთხვევებში:

1) თუ აღარ სჭირდებათ ტყეთსარგებლობა;

2) თუ გაუვიდათ ტყეთსარგებლობის ვადა;

3) თუ გაუქმდა საწარმო-ორგანიზაცია ან დაწესებულება.

საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს ტყეთსარგებლობის უფლება შეიძლება შეუწყდეთ აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ტყის ფონდის მიწები ან სხვა ტყიანი მიწები ჩამოერთმევათ სხვა სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ანდა, თუ ტყეთსარგებლობა არ შეესაბამება ტყესაჰრელი (ტყის) ბარათით გათვალისწინებულ მიზნებს ან მოთხოვნებს.

მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა შეიძლება ითვალისწინებდეს აგრეთვე საწარმო-ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ტყეთსარგებლობის უფლებათა შეწყვეტის სხვა საფუძვლებს.

მუხლი 37. მოქალაქეთა ტყეთსარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძვლები

მოქალაქეთა ტყეთსარგებლობის უფლება მთლიანად ან ნაწილობრივ წყდება შესაბამისად შემდეგ შემთხვევებში:

1) თუ მოქალაქემ თავისი ნებით თქვა უარი ტყეთსარგებლობაზე;

2) თუ გაუვიდა ტყეთსარგებლობის ვადა;

3) თუ ტყეთსარგებლობა არ შეესაბამება ტყესაჰრელი (ტყის) ბარათით გათვალისწინებულ მიზნებს ან მოთხოვნებს.

მოქალაქეებს ტყეთსარგებლობის უფლება შეიძლება აგრეთვე შეუწყდეთ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ტყის ფონდის მიწები ან სხვა ტყიანი მიწები გადაიცა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებებისათვის.

მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებული იყოს აგრეთვე მოქალაქეთა ტყეთსარგებლობის უფლების შეწყვეტის სხვა საფუძვლები.

მუხლი 38. ქალაქის ტყეებში ტყეთსარგებლობის თავისებურებები

ქალაქის ტყეები გამოიყენება უწინარეს ყოვლისა კულტურულ-გამჯანსაღებელი მიზნებისა და მოსახლეობის დასვენებისათვის.

მერქნის დამზადება მთავარი სარგებლობის ჭრის წესით, ფისისა და ხის წვენის დამზადება ქალაქის ტყეებში აკრძალულია.

მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით ქალაქის ტყეებში შეიძლება აკრძალული იყოს აგრეთვე სხვა სახეობის ტყეთსარგებლობა, თუ იგი შეუთავსებელია კულტურულ-გამჯანსაღებელ ღონისძიებათა განხორციელებასა და მოსახლეობის დასვენების ორგანიზაციასთან.

ამ მუხლის დებულებები ვრცელდება აგრეთვე ისეთი დასახლებული პუნქტების ტყეებზე, რომლებიც მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად მიკუთვნებულია ქალაქის ტიპის დაბების კატეგორიას.

მუხლი 39. მიჩენილ ტყეებში ტყეთსარგებლობის თავისებურებები

იმ უწყება-სამინისტროთა საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომლებსაც მიჩენილი აქვთ ტყეები მათთვის დაკისრებული სამეცნიერო, სასწავლო და სხვა ამოცანების შესასრულებლად, ენიჭებათ უპირატესი უფლება განახორციელონ ამ ტყეებში დადგენილი წესის მიხედვით შესაბამის სახეობათა ტყეთსარგებლობა.

მიჩენილ დღეებში შეიძლება შეიზღუდოს ან მოლიანად აიკრძალოს სხვა საწარმო-ორგანიზაციათა, დაწესებულებათა და მოქალაქეთა ტყეთსარგებლობა, თუ მისი განხორციელება შეუთავსებელია ტყეების მიჩენის მიზნებთან.

ტყეების მიჩენის წესს, აგრეთვე მიჩენილ ტყეებში ტყეთსარგებლობის წესს იდგენს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 40. ტყეთსარგებლობის შეზღუდვა ნაკრძალების ტყეებში

ნაკრძალების ტყეები სახელმწიფო ნაკრძალი ფონდის შემადგენელი ნაწილია.

ნაკრძალ ტყეებში აკრძალულია მთავარი სარგებლობის ჭრა, ფისის დამზადება, აგრეთვე ნაკრძალობის მიზნებთან შეუთავსებელი სხვა სახეობის ტყეთსარგებლობა.

დამცავი ჭრა და სანიტარიული ჭრა დაიშვება მხოლოდ ნაკრძალების ტყეებში, თუ იგი ნაკრძალობის მიზნებს შეესაბამება.

ნაკრძალების ტყეებში ტყეთსარგებლობის წესს განსაზღვრავს ნაკრძალთა დებულებანი.

მუხლი 41. საკოლმეურნეო ტყეებში ტყეთსარგებლობის თავისებურებები

ტყეთსარგებლობას საკოლმეურნეო ტყეებში ეწევიან უწინარეს ყოვლისა კოლმეურნეობები და კოლმეურნეები.

კოლმეურნეობები (საკოლმეურნეობათა შორისო სატყეო-სამეურნეო ორგანიზაციები) საკოლმეურნეო ტყეებში ყველა სახეობის ტყეთსარგებლობას საზოგადოებრივი მეურნეობის საჭიროებებისათვის უფასოდ ეწევიან. კოლმეურნეობის წევრები ამ ტყეებში ტყეთსარგებლობას ახორციელებენ შეღავათიანი პირობებით ან უფასოდ.

მერქანსა ან სხვა ტყის პროდუქციაზე კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობის მოთხოვნილებისა და კოლმეურნეთა საჭიროებების დაკმაყოფილების შემდეგ კოლმეურნეობას შეუძლია ტყეთსარგებლობის უფლება მისცეს სხვა ტყეთმოსარგებლეებს. საკოლმეურნეო ტყეებში ამ ტყეთმოსარგებლეთა მიერ დამზადებული პროდუქციის საფასურს კოლმეურნეობა მათ ანდგენენს სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეებისათვის დაწესებული ტაქსების მიხედვით. საკოლმეურნეო ტყეებში ტყეთსარგებლობით მიღებული სახსრები ხმარდება სატყეო მეურნეობის გაძღოლას.

მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შეუძლია კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებების ან რწმუნებულთა კრებების თანხმობით საკოლმეურნეო ტყეები მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეების შემადგენლობაში.

მუხლი 42. სასაზღვრო ზონაში ტყეთსარგებლობის თავისებურებები

სასაზღვრო ზონაში ტყეთსარგებლობა ხორციელდება ამ საფუძვლებითა და სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სხვა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სასაზღვრო ზონაში ტყეთსარგებლობის თავისებურებებს იდგენენ კომპეტენტური ორგანოები სასაზღვრო ჯარების სარდლობასთან შეთანხმებით.

ქარი III

ტყეების განახლება და პროდუქტიულობის ამაღლება

მუხლი 43. ტყეების აღდგენა და გაშენება

ტყენაკაფში, ნახანძრალში და სხვა ნატყეე იდგილებში უნდა განხორციელდეს ტყეების აღდგენა, ხოლო ახალი ტყეების შესაქმნელად განკუთვნილ სხვა მიწებზე უნდა გაშენდეს ტყეები.

ტყის აღდგენისა და გაშენების სამუშაოთა მოცულობა გათვალისწინებულია სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმებით.

ტყის აღდგენას და გაშენებას, ტყის თესლის დამზადებასა და სარგავი მასალის თესვა-მოყვანას ეწევიან სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოების სატყეო-სამეურნეო საწარმოები, სხვა საწარმო-ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებსაც აკისრიათ სატყეო მეურნეობის გაძღოლა. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით აღნიშნულ სამუშაოთა შესრულება შეიძლება დაეკისროს სხვა ორგანიზაციებსაც.

მერქნის დამზადებისა და მორთრევის დროს ტყის დამამზადებლები მოვალენი არიან დაიცვან მოთხოვნები, რომელთა მიზანია ნაკაფ ადგილებში ტყის აღდგენის ხელშემწყობი პირობების შენარჩუნება. ეს მოთხოვნები მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული აგრეთვე მერქნის დასამზადებელი და მორსათრევი ახალი ტექნიკის შემუშავებისას.

ტყის აღდგენის სამუშაოები ეწყობა სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოების მიერ დადგენილი წესით.

ტყემწირ რაიონებში ტყეების გასაზრდელად, უტყეო რაიონებში ტყეების შესაქმნელად და სხვა შემთხვევებში სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების შემადგენლობაში შეიძლება საჭიროებისამებრ გადაიცეს სხვა კატეგორიათა მიწები, უწინარეს ყოვლისა მიწის ნაკვეთები, რომლებიც სოფლის მეურნეობაში გამოსაყენებლად არ გამოდგება (ხევები, ღელეები, ქვიშრობები და ა. შ.) აგრეთვე ხე-ბუჩქნარის მცენარეულობით დაფარული სახელმწიფო მარაგის მიწები. სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების შემადგენლობაში სხვა კატეგორიათა მიწების გადაცემა წარმოებს წესით, რომელსაც განსაზღვრავს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობა.

მუხლი 44. ტყეების პროდუქტიულობის ამაღლება და ტყის მოვლა

ტყეების თვისებრივი შემადგენლობის გაუმჯობესების მიზნით უნდა განხორციელდეს ტყის დამცავი ჭრა, სანიტარიული ჭრა და ნაკლებ მნიშვნელოვანი ტყის ნარგავების რეკონსტრუქციასთან დაკავშირებული ჭრა. ტყეების ასაკობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების ღონისძიებები, მათ შორის გადაბერებული ნარგაობის დაგროვების თავიდან აცილების, აგრეთვე ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების ღონისძიებები და ტყეების პროდუქტიულობის ზრდის ხელშემწყობი სხვა სამუშაოები.

სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოების სატყეო-სამეურნეო საწარმოები, სხვა საწარმო-ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებსაც აკისრიათ ტყის მეურნეობის გაძღოლა, მოვალენი არიან:

მოუარონ ტყეს, განახორციელონ ნიადაგის ნაყოფიერების ზრდის, მეტისმეტად ჭარბტენიანი მიწების დაშრობის, ნიადაგის წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიის, დაჭაობების, დამლაშებების და სხვა ისეთი პროცესების თავიდან აცილების ღონისძიებები, რომლებიც აუარესებს ნიადაგების მდგომარეობას, აგრეთვე განახორციელონ სხვა ღონისძიებები ტყეების ჯიშობრივი შემადგენლობის, ხარისხის გასაუმჯობესებლად, პროდუქტიულობისა და დამცავი თვისებების ასამაღლებლად;

განახორციელონ ღონისძიებები, რათა რაც შეიძლება სრულად და ეფექტიანად გამოიყენონ სახელმწიფო ტყის ფონდის მიწები ტყეების აღდგენისა და ახალი ტყეების შექმნისათვის საამისოდ განკუთვნილ ფართობებზე.

ქარი IV

ტყეების მოვლა და დაცვა

მუხლი 45. ტყეების მოვლა-პატრონობა და დაცვა

ყველა ტყე უნდა იყოს დაცული ხანძრებისაგან, უკანონო გაჩეხისაგან, ტყეთსარგებლობის დადგენილი წესის დარღვევებისა და სხვა ისეთი მოქმედებისაგან, რომელიც ზიანს აყენებს სატყეო მეურნეობას, აგრეთვე ძაღნე მწერებისა და დაავადებებისაგან.

ტყეების მოვლა-პატრონობისა და დაცვის ღონისძიებათა განხორციელება ეკისრებათ:

სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეებში — სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოების სატყეო-სამეურნეო საწარმოებს, სხვა საწარმო-ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომლებსაც აკისრიათ სატყეო მეურნეობის გაძღოლა ამ ტყეებში, აგრეთვე შესაბამის უწყება-სამინისტროებსა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტებს:

საკოლმეურნეო ტყეებში — კოლმეურნეობებს, სხვა ორგანიზაციებს, რომლებსაც აკისრიათ სატყეო მეურნეობის გაძღოლა ამ ტყეებში, აგრეთვე შესაბამის სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად ხელს უწყობენ ტყეების მოვლა-პატრონობისა და დაცვის ღონისძიებათა განხორციელებას, ტყის ხანძრების წინააღმდეგ ბრძოლის ყველა ღონისძიების უთუო შესრულებას, რაზმავენ მათს ჩასაჭრობად მოსახლეობას, ხანძარსაწინააღმდეგო ტექნიკასა და სატრანსპორტო საშუალებებს, მომეტებული სახანძრო საშიშროების პერიოდში მოსახლეობის საჭიროების შემთხვევებში უკრძალავენ ტყეში შესვლას და არ ატარებენ ტყეში სატრანსპორტო საშუალებებს.

საწარმო-ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომელთა საქმიანობა გავლენას ახდენს ტყეების მდგომარეობასა და აღდგენაზე, მოვალენი არიან სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოებთან, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან შეთანხმებით, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად განახორციელონ ტექნოლოგიური, სანიტარიული და სხვა ღონისძიებები, რათა უზრუნველყონ ტყეების დაცვა ხანძრებისა და ისეთი მოქმედებისაგან, რომელიც ზიანს აყენებს სატყეო მეურნეობას.

ხე-ბუჩქნარის ნარგავების დაცვა, რომლებიც არ შედის სახელმწიფო ტყის ფონდში, ეკისრებათ მიწათმოსარგებლეებს.

მუხლი 46. სატყეო დაცვა სსრ კავშირში

ტყეებს პატრონობენ და იცავენ: სსრ კავშირის სახელმწიფო სატყეო დაცვა; იმ უწყება-სამინისტროთა სატყეო დაცვა, რომელთა სისტემაში შემავალი საწარმო-ორგანიზაციები და დაწესებულებები უძღვებიან სატყეო მეურნეობას; მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომების სატყეო დაცვა; კოლმეურნეობების სატყეო დაცვა;

სსრ კავშირის სახელმწიფო სატყეო დაცვას, სამინისტროებისა და უწყებების, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომების სატყეო დაცვას, აგრეთვე კოლმეურნეობათა სატყეო დაცვას ეძლევათ უფლებები, რათა აღკვეთონ და თავიდან აიცილონ ტყეების მოვლა-პატრონობისა და დაცვის წესების, ტყეთსარგებლობის დადგენილი წესის, სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების მიზნობრივი დანიშნულებისამებრ გამოყენების დარღვევები, აგრეთვე აღკვეთონ და თავიდან აიცილონ ტყისათვის საზიანო სხვაგვარი მოქმედება.

სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოებს ეკისრებათ განახორციელონ კონტროლი სსრ კავშირის მთელ ტყეებში მოვლა-პატრ

პროექტი სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ყაის კანონმდებლობის საფუძვლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

წაანგარიშო ტყეკაფის დამტკიცების წესს აღგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

ტყეთმოწყობას ყველა ტყეში ეწევიან სახელმწიფო ტყეთმომწყობი საწარმოები სსრ კავშირისათვის ერთიანი სისტემით, რომელსაც სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანო აღგენს.

ქარი VI

პასუხისმგებლობა ტყის კანონმდებლობის დარღვევისათვის

მუხლი 49. პასუხისმგებლობა ტყის კანონმდებლობის დარღვევისათვის

ტყეთსარგებლობის უფლების თვითნებური გადაცემა, აგრეთვე სხვა გარიგებები, რომლებიც პირდაპირი თუ ფარული ფორმით არღვევს ტყის სახელმწიფო საკუთრების უფლებას, ბათილად ითვლება.

პირებს, რომლებსაც ბრალი მიუძღვით აღნიშნულ გარიგებათა დადებაში, აგრეთვე იმაში, რომ:

უკანონოდ გაჩეხეს ტყე, დააზიანეს ხეები და ბუჩქნარი იმდენად, რომ ზრდა შეაწყვეტინეს;

მოსპეს ან დააზიანეს ტყეები ცეცხლის გაჩენის ან ცეცხლისადმი დაუდევრობის შედეგად;

დაარღვიეს ტყეებში სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები;

დააზიანეს ტყეები ჩამდინარე წყლებით, გაზებით, ქიმიური ნივთიერებებითა და სხვა სამრეწველო და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო ნარჩენებითა და ამონაფრქვევებით, რომლებიც ტყის გახმობას ან დაავადებას იწვევს;

მოსპეს ან დააზიანეს ტყის კულტურები, სათესლე ხეები ან ნარგავები ტყის სანერგეებსა და პლანტაციებში, აგრეთვე ბუნებრივი წარმოშობის შიძალი და თვითნთესი ტყის აღდგენისათვის განკუთვნილ ფართობებზე;

გამოიყენეს სახელმწიფო ტყის ფონდის მიწის ნაკვეთები ამოძირკვისათვის, ნაგებობათა აშენებისათვის, მერქნის გადამუშავებისათვის, საწყობების შექმნისა და სხვა მიზნებისათვის ამ ნაკვეთების გამოყენებაზე სათანადო ნებართვის მიუღებლად;

თვითნებურად გათიბეს და აძოვეს პირუტყვი სახელმწიფო ტყის ფონდის ტყეებში და უტყეო მიწებზე;

თვითნებურად მოკრიფეს ხილი, კაკალი, სოკო, კენკრა და სხვ. ნაკვეთებზე, სადაც ეს აკრძალულია ან დასაშვებია მხოლოდ ტყის ბარათებით;

დაარღვიეს ტყეკაფის ფონდის გამოყენების, მერქნის დამზადებისა და გამოხიდვის და ფისის დამზადების დადგენილი წესი;

მოსპეს და დააზიანეს გამმიჯნელი ნიშნები ტყეებში;

გაანადგურეს ტყისათვის სასარგებლო ფაუნები;

ეკისრებათ სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობას შეუძლია პასუხისმგებლობა დააკისროს ტყის კანონმდებლობის სხვაგვარი დარღვევებისათვისაც.

საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები და მოქალაქეები მოვალენი არიან აანაზღაურონ ტყის კანონმდებლობის დარღვევის შედეგად გამოწვეული ზარალი იმ ოდენობითა და წესით, რომელსაც სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა აღგენს.

ტყის კანონმდებლობის დარღვევის შედეგად უკანონოდ მოპოვებული მერქანი და სხვა პროდუქცია უნდა ჩამოერთვას და გადაეცეს საწარმოს, ორგანიზაციას ან დაწესებულებას, რომლებსაც სატყეო მეურნეობის გაძღოლა ევალებათ, ან ტყეთმოსარგებლეს, თუ დარღვეულია მისი უფლებები. როცა უკანონოდ მოპოვებული პროდუქციის ჩამორთმევა შეუძლებელია, უნდა გადახდევინონ მისი ღირებულება.

თუ ტყეთმოსარგებლეებმა დაარღვიეს ტყეთსარგებლობის დადგენილი წესი, ტყეთსარგებლობა შეიძლება შეჩერდეს იმ შემთხვევებში და წესით, რომლებსაც განსაზღვრავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

იმ შემთხვევებში და წესით, რომლებსაც სსრ კავშირის კანონმდებლობა აღგენს, შეიძლება შეჩერდეს სამუშაოები, რომლებსაც საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები ეწევიან, თუ ეს სამუშაოები საფრთხეს უქმნის ტყეების მდგომარეობასა და აღდგენას იმის გამო, რომ ამ სამუშაოთა დროს არ სრულდება ტექნოლოგიური, სანიტარიული და სხვა ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფს ხანძრებისაგან ტყეების დაცვას და ტყეების მდგომარეობასა და აღდგენაზე მავნე ზემოქმედების აღკვეთას.

პირებს, რომლებსაც ბრალი მიუძღვით იმ დამაკავი და გასამწვანებელი ხე-ბუჩქნარი ნარგავების უკანონო მოსპობასა თუ დაზიანებაში, რომლებიც სახელმწიფო ტყის ფონდში არ შედის, ეკისრებათ ტყის კანონმდებლობის დარღვევისათვის დადგენილი პასუხისმგებლობა, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით.

პირებს, რომლებსაც ბრალი მიუძღვით იმაში, რომ ვერ შესრულეს ან დააზიანეს ტყეები ცეცხლის გაჩენის ან ცეცხლისადმი დაუდევრობის შედეგად;

დაარღვიეს ტყეებში სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები;

დააზიანეს ტყეები ჩამდინარე წყლებით, გაზებით, ქიმიური ნივთიერებებითა და სხვა სამრეწველო და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო ნარჩენებითა და ამონაფრქვევებით, რომლებიც ტყის გახმობას ან დაავადებას იწვევს;

მოსპეს ან დააზიანეს ტყის კულტურები, სათესლე ხეები ან ნარგავები ტყის სანერგეებსა და პლანტაციებში, აგრეთვე ბუნებრივი წარმოშობის შიძალი და თვითნთესი ტყის აღდგენისათვის განკუთვნილ ფართობებზე;

გამოიყენეს სახელმწიფო ტყის ფონდის მიწის ნაკვეთები ამოძირკვისათვის, ნაგებობათა აშენებისათვის, მერქნის გადამუშავებისათვის, საწყობების შექმნისა და სხვა მიზნებისათვის ამ ნაკვეთების გამოყენებაზე სათანადო ნებართვის მიუღებლად;

თვითნებურად გათიბეს და აძოვეს პირუტყვი სახელმწიფო ტყის ფონდის ტყეებში და უტყეო მიწებზე;

თვითნებურად მოკრიფეს ხილი, კაკალი, სოკო, კენკრა და სხვ. ნაკვეთებზე, სადაც ეს აკრძალულია ან დასაშვებია მხოლოდ ტყის ბარათებით;

დაარღვიეს ტყეკაფის ფონდის გამოყენების, მერქნის დამზადებისა და გამოხიდვის და ფისის დამზადების დადგენილი წესი;

მოსპეს და დააზიანეს გამმიჯნელი ნიშნები ტყეებში;

გაანადგურეს ტყისათვის სასარგებლო ფაუნები;

ეკისრებათ სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობას შეუძლია პასუხისმგებლობა დააკისროს ტყის კანონმდებლობის სხვაგვარი დარღვევებისათვისაც.

ქარი VII

საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები

მუხლი 50. საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები

იმ შემთხვევებში, როცა საერთაშორისო ხელშეკრულებით ან საერთაშორისო შეთანხმებით, რომელშიც სსრ კავშირი მონაწილეობს, დადგენილია სხვა წესები, ვიდრე ისინი, რომლებსაც საბჭოთა ტყის კანონმდებლობა შეიცავს, გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების ან საერთაშორისო შეთანხმების წესები.

იგივე დებულება გამოიყენება შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე, თუ საერთაშორისო ხელშეკრულებაში ან საერთაშორისო შეთანხმებაში, რომელშიც მოკავშირე რესპუბლიკა მონაწილეობს, დადგენილია სხვა წესები, ვიდრე გათვალისწინებულია მოკავშირე რესპუბლიკის ტყის კანონმდებლობით.

16 თებერვალი

მსოფლიოს ამბები

ფაქტები ◆ პრობლემები

გაანიარაღება დროის მოთხოვნაა

ჟენევა. (საკადრესო). ჟენევის ერთა სასახლეში გაიხსნა გაანიარაღების კომიტეტის საგაზაფხულო სესია.

სესიის ყურადღების ცენტრშია ისეთი უმნიშვნელოვანესი პრობლემები, როგორიცაა გამალებული ატომური შეიარაღების შეწყვეტა, ატომური იარაღის შემცირება და შემდეგ ლიკვიდაცია, მასობრივი მოსპობის ახალ სახეობათა იარაღისა და ასეთი იარაღის ახალი სისტემების შემუშავებისა და წარმოების აკრძალვა, სახელმწიფოთა სამხედრო ბიუჯეტების შემცირება და სხვა.

პირველ სხდომაზე გამოვიდა სსრ კავშირის წარმომადგენელი ვ. ი. ლიხაჩოვი, რომელმაც აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი მთელ მეცადინეობას ახმარს სკკპ XXV ყრილობის მიერ შემუშავებული მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის შემდგომი ბრძოლის პროგრამის აქტიურ განხორციელებას.

შეეხო რა განიარაღების კომიტეტის ამოცანებს, საბჭოთა წარმომადგენელმა აღნიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის მემორანდუმს გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და შეიარაღების საკითხებზე, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 31-ე სესიაზე წამოაყენა.

საბჭოთა წარმომადგენელმა კომიტეტს აგრეთვე მოუწოდა გაანიარაღების მასობრივი მოსპობის ახალ სახეობათა იარაღისა და ასეთი იარაღის ახალი სისტემების შემუშავებისა და წარმოების აკრძალვის პრობლემების განხილვა, რომელიც სესიაზე დაიწყო, და განაგრძო კონსტრუქციული მოლაპარაკება ქიმიური იარაღის აკრძალვის შესახებ. განიარაღების დარგში საბჭოთა კავშირის მეცადინეობა, თქვა მან, ადასტურებს, რომ სსრ კავშირი დიდად ესწრაფვის მიაღწიოს გარდატეხას გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და განიარაღებისათვის ბრძოლაში.

ღღეკანდელ სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების, მექსიკისა და იტალიის წარმომადგენლები.

ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის მეთაურმა ლეონ სლოსმა განაცხადა, რომ ვაშინგტონის ახალი ადმინისტრაცია განიარაღების საკითხებს უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებს. ჩვენ ვაპირებთ, თქვა მან, მუდამ ვაცნობოთ ხოლმე განიარაღების კომიტეტს ჩვენი შეხედულებანი განიარაღების მრავალმხრივი პრობლემების შესახებ.

ფაქტების საწინააღმდეგოდ

ლისაბონი. (საკადრესო). საყოველთაოდ ცნობილი ფაქტების საწინააღმდეგოდ პორტუგალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჟ. დი მედეირუშ ფერეირამ გამეორა რეაქციული პროპაგანდის მონაჭორები საშაროების შესახებ „ძალთა თანაფარდობის რაღაც დარღვევის“ გამო, რომელიც, თითქოს, გამოწვეული იყო ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებში შეიარაღების გზით. ასეთი განცხადება მან გააკეთა მიუნხენიდან დაბრუნების შემდეგ, სადაც მონაწილეობდა ნატოს ქვეყნების პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწეების თათბირში, რომლებიც შეიკრიბნენ ევროპის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტის ყოველწლიურ კონფერენციაზე.

ამით მინისტრმა თავისი ხმა შეუერთა ეგრეთ წოდებული „საბჭოთა მუქარის“ გარშემო კამპანიას, რომელსაც დასავლეთის ქვეყნების იმპერიალისტური წრეები აჩაღებენ.

გუშინ გამოქვეყნებულ პორტუგალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განცხადებაში ხაზგასმულია, რომ ამ კამპანიით იმპერიალიზმი ცდილობს შენიღბოს თავისი აგრესიული ზრახვები, სამხედრო პოტენციალის ზრდისა და გამალებული შეიარაღების გაძლიერების გეგმები.

ს. ვენსის მოგზაურობა

ვაშინგტონი. (საკადრესო). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ს. ვენსი შვიდი დღით გაემგზავრა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. იგი ეწვევა ისრაელს, ეგვიპტეს, ლიბანს, იორდანიას, საუდის არაბეთსა და სირიას, სადაც გამართავს მოლაპარაკებას ამ სახელმწიფოების ხელმძღვანელებთან. როგორც აქ ოფიციალურად გამოაცხადეს, ამ მოგზაურობის მიზანია „ფაქტებისა და ინფორმაციის შეგროვება“ ახლო აღმოსავლეთში არსებული მდგომარეობის შესახებ.

ვაშინგტონიდან გაფრენის წინ ს. ვენსმა განაცხადა, რომ კარგად ესმის ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მოწესრიგების მთელი სიძნელე. ეს მოგზაურობა, მისი თქმით, გამოხატავს პრეზიდენტ ჯ. კარტერის რწმენას, რომ ახლო აღმოსავლეთის კრიზისის გადაჭრას დიდი მნიშვნელობა აქვს.

1966 წლის სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მოგებიანი სესხი

ქალაქ თბილისში 1977 წლის 15 თებერვალს გამართული მოგებათა 85-ე ტირაჟის

ოფიციალური ცხრილი

მოგება ხვდა სესხის სამოცდაოთხივე თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს

სერიების №№	ობლიგაციების №№	მოგებათა ოდენობა მანეთობით	სერიების №№	ობლიგაციების №№	მოგებათა ოდენობა მანეთობით	სერიების №№	ობლიგაციების №№	მოგებათა ოდენობა მანეთობით
100271	1—50	40	129963	32*)	500	163191	38*)	500
100785	27*)	1000	130405	22*)	500	164744	1—50	40
101348	48*)	1000	131979	1—50	40	164796	22*)	500
101970	1—50	100	132373	29*)	1000	165213	42*)	500
104686	1—50	40	132536	1—50	40	165727	46*)	500
104924	23*)	500	132789	1—50	40	168862	15*)	500
105202	05*)	500	133360	07*)	1000	168875	23*)	2500
105433	03*)	500	133437	1—50	40	169200	1—50	100
105848	49*)	500	133919	03*)	500	169532	34*)	500
106534	1—50	100	134475	43*)	500	169593	03*)	500
106780	26*)	5000	134746	20*)	500	169804	22*)	1000
106870	21*)	500	135036	23*)	500	170230	12*)	500
107682	41*)	500	135302	12*)	500	170263	1—50	40
107819	47*)	500	135329	07*)	500	170359	14*)	1000
108639	40*)	1000	137692	27*)	500	170774	30*)	500
109847	19*)	500	139149	34*)	1000	171349	33*)	500
110373	46*)	5000	139228	40*)	500	172446	1—50	40
110921	1—50	40	139507	1—50	40	172501	49*)	500
111630	07*)	500	141443	1—50	40	173042	39*)	500
111732	04*)	500	142886	1—50	40	173183	21*)	500
111894	1—50	40	143960	42*)	500	173461	28*)	500
112539	38*)	500	145627	1—50	100	175530	40*)	500
112669	26*)	500	146396	25*)	2500	177766	09*)	500
113159	33*)	500	146624	1—50	100	177988	1—50	100
114315	29*)	500	147192	31*)	500	178303	1—50	100
115015	34*)	500	147705	11*)	1000	178315	1—50	40
115296	19*)	500	147814	1—50	100	179426	1—50	40
115391	25*)	500	148284	1—50	40	179520	1—50	40
115493	1—50	100	148362	1—50	100	179737	26*)	2500
116410	19*)	500	149085	28*)	1000	180182	48*)	1000
116979	37*)	500	149482	1—50	40	181136	13*)	500
117106	18*)	500	149829	14*)	500	181627	1—50	100
117224	1—50	40	150049	1—50	100	181666	43*)	500
117349	1—50	100	151191	1—50	40	182622	1—50	40
118040	48*)	500	151206	07*)	500	183502	01*)	500
118832	48*)	500	151321	1—50	40	183573	42*)	1000
120801	37*)	500	152071	47*)	500	183663	42*)	500
121078	50*)	500	152138	1—50	40	184147	14*)	500
121909	43*)	1000	152255	04*)	500	184938	03*)	500
121948	1—50	40	152919	1—50	40	185130	20*)	500
122419	13*)	500	152948	22*)	500	185477	41*)	500
122611	26*)	500	153586	46*)	500	185748	45*)	1000
122671	40*)	500	154592	1—50	40	186113	42*)	500
122754	18*)	500	154615	14*)	500	186559	29*)	1000
122821	1—50	40	154924	33*)	500	186702	14*)	500
124484	29*)	500	155175	39*)	500	187603	29*)	500
124800	1—50	40	157330	16*)	500	187763	16*)	500
125024	1—50	40	157486	38*)	500	189392	01*)	500
125037	1—50	40	157711	13*)	500	190194	49*)	500
126085	30*)	500	157973	1—50	40	190437	41*)	500
126194	1—50	40	158051	1—50	40	190458	1—50	100
126263	15*)	500	158155	36*)	500	191362	10*)	500
126395	05*)	500	158166	24*)	500	194135	23*)	500
126408	35*)	500	158995	1—50	40	194303	03*)	1000
126908	50*)	2500	159301	41*)	500	194691	1—50	40
127075	10*)	500	159637	21*)	500	194826	30*)	500
127135	1—50	100	160564	1—50	40	195704	34*)	1000
127658	03*)	500	160655	11*)	500	197340	23*)	500
127685	38*)	500	161185	22*)	500	198707	07*)	500
127719	02*)	500	161219	41*)	500	198837	27*)	500
127939	45*)	1000	161636	12*)	500	199950	06*)	1000
128170	15*)	500	161697	03*)	2500	199998	43*)	500
128588	43*)	1000	163140	13*)	500			

*) ამ სერიის ობლიგაციების 49 ნომერს ხვდა 40 მანეთი მოგება თვითეულს.

ცხრილში ნაჩვენებია ოცმანეთიანი ობლიგაციების მოგებანი.

ათი მანეთი ღირებულების ობლიგაციებით გაიცემა მოგების ნახევარი.

მოგებას თანხაში შედის მოგებული ობლიგაციების ნომინალური ღირებულება.

ეს ცხრილი ოფიციალური დოკუმენტია, რომლითაც საქართველოს სსრ შემნახველი სალაროები გასცემენ მოგებას დადგენილი წესით, გაზეთის მომდევნო ნომრის მიღების შემდეგ.

მოგებათა ტირაჟის მომწყობი კომისიის თავმჯდომარე — თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე — ს. ტ. ოინმპეკ.

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი ლ. ბ. ესინა.

ჭადრაკი

პირველი ნახევრის შემდეგ

ლენინგრადში დამთავრდა შეიარაღებული ძალების ჩემპიონატის პირველი ნახევარი. ასპარეზობაში 4 დიდოსტატი, 9 ოსტატი და 1 ოსტატობის კანდიდატი მონაწილეობს.

6 ტურის შემდეგ 4,5 ქულით ლიდერობს ოსტატი იუფეროვი (მინსკი). კვლავინდებურად წარუმატებლად გამოდიან დიდოსტატები ვასიუკოვი (მოსკოვი), ბელავესკი (ლვოვი) და ტუკმაკოვი (ოდესა).

დიდად საინტერესოა მსოფლიოს ჩემპიონ ნონა გაფრინდაშვილის თამაში. მან მეექვსე ტურში სძლია დიდოსტატ ბელავესკის და ახლა 6 თამაშიდან 2 ქულა აქვს. ამ შეჯიბრებაში მონაწილეობა ნონასთვის კარგი წვრთნაა აშშ-ის დიდ საერთაშორისო ტურნირში გამოსვლის წინ, რომელიც მარტში გაიმართება.

ლვოველი ჩემპიონი

ალმა-ათა, 16 თებერვალი. (საკადრესო). ლვოველმა მოჭადრაკემ, ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოება „ავანგარდის“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონმა ადრიან მიხალჩიშინმა კიდევ ერთი ტიტული მოიპოვა — იგი სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა ახალგაზრდა ოსტატთა შორის. ტურნირი, რომელიც ყაზახეთის დედაქალაქში ჩატარდა, 20 დღეს გრძელდებოდა, მაგრამ გამარჯვებული და პრიზიორები გამოვლინდნენ მხოლოდ დღეს, გადადებული პარტიების დამთავრების შემდეგ.

ა. მიხალჩიშინმა, რომელიც ტურნირის მეორე ნახევრიდან ერთპიროვნული ლიდერი იყო, 9,5 ქულა მოაგროვა. მეორე ადგილზე გამოვიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გენადი ზაიჩიკი, მესამეზე — უზბეკეთის ზარშანდელი ჩემპიონი გიორგი აკუბოვი. ორივეს 9-ქულა აქვთ, მაგრამ თბილისელმა მოჭადრაკემ მეტი გამარჯვება მოიპოვა.

„კომსომოლსკაია პრავდას“ პრიზზე

გუშინ თბილისში დაიწყო საინტერესო შეჯიბრება „კომსომოლსკაია პრავდას“ პრიზზე. ერთმანეთს ეჯიბრება საქართველოს 6 უძლიერესი პიონერული კოლექტივი. თვითეულ გუნდს თავისი კაპიტანი — ოსტატი ჰყავს, რომელიც ერთდროულ თამაშს სვამს. ამ სეანსებმა მოსწავლეებს დიდი სარგებლობა უნდა მოუტანოს.

თბილისის პიონერთა სასახლის გუნდის კაპიტანია ოსტატი ჯანიევი, ქუთაისელებისა — საერთაშორისო ოსტატი გიორგაძე, აფხაზეთისა — ოსტატი უბილავა, აჭარისა — ოსტატი ბოკუჩავა, სამხრეთ ოსეთისა — ოსტატი მიქაძე, ქ. ცხაკაიას გუნდისა — ოსტატი კიკიანი.

ორიოდე სიტყვით

ფეხბურთი. კიევის „დინამომ“, რომელიც ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების მატჩებისათვის ეშზადება მიუხვენის „ბავარიასთან“, სოჭში ამხანაგური შეხვედრა გამართა პოლონეთის „წაგლეგმბესთან“ (სოხნოვეცი). ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს კიეველებმა. ბურთი გაიტანა ბესონოვმა.

ხელბურთი. თბილისის „ბურევესტნიკმა“, რომელიც საკავშირო გათამაშებაში მესამე ადგილზე იმყოფება, ალიტუსში (ლიტვა) წაგო მოსკოვის „კუნცეოსთან“ — 15:19 (7:12).

ვოლეიბური. კუბაში მიმდინარე საერთაშორისო ვოლეიბოლის პირველი ეტაპი (ბარაკოა-გუანტანამო), რომელიც 153 კილომეტრს უდრიდა, მოიგო მასპინძელთა გუნდის წარმომადგენელმა ხორხე გომესმა — 3 საათი, 50 წუთი და 52 წამი. მეორე ადგილზე გამოვიდა მისი თანაგუნდელი ლასარო სანტოსი, მესამეზე — ალექსანდრე ავერინი (კუბიმშეკი).

ფეხბურთი

მატჩი ლესელიძეში

გუშინ ლესელიძეში, პანსიონატ „სპორტის“ ბაზაზე გაიმართა თბილისის „დინამოსა“ და დონეცკის „შახტიორის“ სეზონისწინა მოსამზადებელი პირველი მატჩი.

ასპარეზობის მეტი წილი თბილისელთა უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ პირველი ბურთი მაინც დონეცკელებმა გაიტანეს (რეზნიკმა). მალე გუცაევმა გაქვითა ანგარიში, ხოლო ყიფიანმა წინ გაიყვანა თავისი გუნდი — 2:1. შესვენებამდე ქორიძემ 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით მესამედ აიღო მეკარე ჩანოვის კარი — 3:1.

შეხვედრის მეორე ნახევარში უკვე მ. მაჩაიძემ მიაღწია წარმატებას — 4:1. თბილისის „დინამომ“ შავი ზღვის სანაპიროზე პირველი გამარჯვება მოიპოვა.

ეი ვინ თამაშობდა თბილისელთა შემადგენლობაში: გაბელია, ხიზანიშვილი (წერეთელი), ქორიძე, ჭილაია, კოსტავა, გ. მაჩაიძე, მ. მაჩაიძე, კოპალეიშვილი, გუცაევი, ყიფიანი, ჩელებაძე.

ამავე დღეს გაიმართა თბილისის „დინამოსა“ და დონეცკის „შახტიორის“ სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი. ანგარიშით 3:0 (2:0) გაიმარჯვეს დონეცკელმა ფეხბურთელებმა.

მომდევნო შეხვედრებს თბილისის დინამოელები ლესელიძეში გამართავენ ქუთაისის „ტორპედოსთან“ (20 თებერვალს) და მოსკოველ თანაკლუბელებთან (27 თებერვალს). ეს იქნება შავი ზღვის სანაპიროს საგაზაფხულო ტურნირის მატჩები.

(„კომუნისტის“ კორ.).

ტელეფონით.

კალათბურთის ფარეგთან

მოსკოვის „დინამოს“ ვაჟთა გუნდმა პარიზში წაიგო საპასუხო მეოთხედფინალური მატჩი საფრანგეთის „ბერკეთან“ — 84:108 (45:46) და გამოეთიშა სახელგანქმული იუგოსლავი კალათბურთელის რადივოი კორაჩის სახელობის თასის გათამაშებას.

კაუნასის „ეალგირასმა“ საკუთარი ჩემპიონატის მორიგ მატჩში თავის მოედანზე ახგარიშით 97:91 (55:32) სძლია კიევის „სტროიტელს“. მატჩის საუკეთესო სნაიპერი იყო კიეველი ა. სალნიკოვი — 41 ქულა.

გუშინ ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში გაიმართა ქალთა საკავშირო ჩემპიონატის (პირველი ლიგა) განმეორებითი მატჩი ორ „ბურევესტნიკს“ (თბილისი-ლენინაკანი) შორის. ანგარიშით 73:64 (36:31) გამარჯვება კვლავ ქართველმა კალათბურთელებმა მოიპოვეს.

„სპორტლოტო“

გაცნობებთ 16 თებერვალს გამართული „სპორტლოტო“ და „სპორტლოტო-2“-ის შედეგებს.

„სპორტლოტო“: 14 (ფრენბურთი), 13 (წყალსათხილამურო სპორტი), 47 (ბურთიანი ჰოკეი), 17 (ძხტერული ტანვარჯიში), 23 (ძლეულობნობა), 41 (ჩოგბურთი).

„სპორტლოტო-2“ 15 (წყალბურთი), 35 (სპიდვეი), 45 (ფეხბურთი), 47 (ბურთიანი ჰოკეი), 31 (ცურვა), 33 (რეგბი). (საკადრესო).

ტელევიზია

17 თებერვალი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში, ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ფრანგული სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „განკიცხული“, ფერადი გამოსახულებით. მესამე სერია (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — დოკუმენტური ფილმი „ფიქრები თანამედროვეზე“, 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ფიზიკა, 17.45 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.05 — მოსწავლეთათვის — რუსული ენა, 18.35 — თოჯინური სპექტაკლი „სამი გოჯი“. ფერადი გამოსახულებით (განმეორებით), 19.00 — „ეერნისაკი“, 19.20 — „ადამიანი და კანონი, 20.30 „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.00 — „შრომა და დასვენება“ — სატელევიზიო პროფკავშირული ჟურნალი, 22.00 — „ეერმია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „ბოკი ევროპის ჩემპიონთა თასზე „დუკ�ა“ (ინგლისი, ჩეხოსლოვაკია) — „კრილია სოვეტოვი“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა ჩეხოსლოვაკიიდან).

მეორე პროგრამით

17.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მებრძოლები“, „დონეცკის ვერტიკალი“, 18.15 — რუსული სკოლების მეოთხე კლასელთათვის — ქარიული ენა, 18.45 — განცხადებები, 18.50 — სტუდენტთათვის — მხაზველობითი გეომეტრია, 19.35 — მხატვრული ფილმი „ქაჯანა“ (რუსულ ენაზე), 20.55 — „შემოქმედებითი პორტრეტები“ — დეზნა შენგელაია. ფერადი გამოსახულებით.

18 თებერვალი

პირველი პროგრამით

08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 08.32 — სიმფონიური მუსიკა, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ზღერის საქართველოს სახელმწიფო კაპელა, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.40 — „ჩვენი ახალი ჩანაწერები“, 12.15 — ვ. დოლიძე. ოპერა „ქეთო და კოტეს“ ორი აქტი, 12.30 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.35 — კონცერტი, 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.30 — გაზეთ „პრავდის“ შიშინავე სტატია, 15.00 — „მეგობართა ხმები“. გადმოცემა სოციალისტური ქვეყნები დ ა ნ, 17.40 — უფროსკლასელთათვის. „ეკვეკათხებიან — ვეპასუხებთ“, 18.10 — ქართული ხალხური მუსიკა, 18.45 — მღერის ე. ჰილი, 19.00 — „დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისთვის“. საუბარი „ინდუსტრიული საქართველო“, 19.15 — ა. ბალანჩივაძე. ბალეტ „მთების გულის“ ნაწყვეტები, 20.30 — ქართული ხსუბუქი მუსიკა, 20.45 — „ადამიანი და გარემო“, 21.00 — „ძიღისპირული“, 22.00 — ვაჟა-ფშაველა. „გოგოთურ და აფშინა“. რადიოდადგმა, 23.30 — უკრავს ი. ხეიფიცი.

17 თებერვალი

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — თაბეისუშვილი თემა; კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — მოჩვენებანი; ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ბურატინო; მინიატურების სახელმწიფო — ფული და სიყვარული.

16 თებერვალი

ფოტოინფორმაცია

იაპონიაში დაიწყო მშრომელთა საგაზაფხულო შეტევა. თავიანთ სახეცოცხლო უფლებებს რომ იცავენ, მუშები, გლეხები და მოსაშახურეები მოითხოვენ სოციალური უზრუნველყოფის გაუმჯობესებას, უმუშევრობის აღმოსაფხვრელად, ინფლაციასა და ფ